კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ეკა იმნაძე

ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაზე გლობალიზაციის პირობებში

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ დუდაური - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

ნაშრომის თემას წარმოადგენს ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა. გლობალიზაციის პირობებში, ტრანსნაციონალური კორპორაციები გვევლინებიან მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკებში მიმდინარე საკვანძო პროცესების მამოძრავებელ ძალად. ისინი, უმეტეს შემთხვევაში, ახდენენ პოზიტიურ ზემოქმედებას განვითარებად ეკონომიკებსა და მათ სამომხმარებლო ბაზრებზე.

ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა მიმღები ქვეყნების სამომხმარებლო ბაზარზე ძალიან მრავალმხრივია და ყოველთვის არ არის დადებითი. ეს გამოწვეულია იმით, რომ მიმღები ქვეყნებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების დამოკიდებულება რთულია, რაც განპირობებულია მათი სხვადასხვა ინტერესებით, ასევე ძალაუფლების ასიმეტრიით. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში (განსაკუთრებით ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან ურთიერთობის განვითარების მიზნობრივ პროგრამის არსებობის შემთხვევაში) მიმღები ქვეყანა იგებს ტრანსნაციონალური კომპანიების ქვეყანაში შემოსვლით.

განხილულია ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოშობის ევოლუცია, მათი ეროვნულ სამომხმარებლო ბაზრებზე შესვლის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მიზნები და თავისებურებები.

ნაშრომში განხილული საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის თავისებურებები. რესპოდენტთა გამოკითხვის საფუძველზე მიღებული მონაცემების გაანალიზებით განვსაზღვრეთ თუ რა გავლენა აქვს ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობას საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. ნაშრომის ბოლოს ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და დასახულია პრაქტიკული წინადადებები.

Transnational corporations influence the development of the country's consumer market in globalization

Eka Imnadze

The theme of the work is the influence of transnational corporations on the country's consumer market. Under globalization, transnational corporations are the driving force of the key processes in the world and national economies. They, in most cases, have a positive impact on developing economies and their consumer markets.

The impact of transnational corporations on the consumer market of receiving countries is very versatile and is not always positive. This is due to the fact that the attitude of the receiving countries and transnational corporations is difficult, which is due to their different interests, as well as the asymmetry of power. But in most cases (especially if there is a target program for the development of relations with transnational corporations), the recipient country is acquired by transnational companies in the country.

The evolution of the transnational corporations originated, the advantages and disadvantages of entering their national consumer markets, the goals and the peculiarities.

The characteristics of the transnational corporations influence on the development of Georgia's consumer market discussed in the paper. By analyzing the data obtained based on the respondents' surveys, we have identified the impact of transnational corporations on Georgia's consumer market. Based on the research conducted at the end of the thesis conclusions are made and practical suggestions are set.

შინაარსი

შესავალი---------- 5

თავი 1. ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე ტრანსნაციონალიზაციის გავლენის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები გლობალიზაციის პირობებში---------- 10

1.1. გლობალიზაციის არსი, მნიშვნელობა და ისტორიული მიმოხილვა---------- 10

1.2. ტრანსნაციონალური კორპორაციები და გლობალიზაცია---------- 17

1.3. ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარებად სამომხმარებლო ბაზარებზე შესვლის მიზეზები, მასშტაბები, ტენდენციები და წინააღმდეგობები---------- 26

თავი 2. ტრანსნაციონალური კორპორაციები და მათი გავლენა სამომხმარებლო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობაზე---------- 33

2.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების ტიპები, მართვის სტრუქტურა და თავისებურებანი---------- 33

2.2. ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების ეტაპები---------- 41

2.3. ტრანსნაციონალური კორპორაციების საგარეო ეკონომიკური ექსპანსია საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე, როგორც განვითარების ობიექტური ფაქტორი---------- 44

თავი 3. ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის ძირითადი ასპექტები---------- 48

3.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიოს სამომხმარებლო ბაზრების განვითარებაში გლობალიზაციის პირობებში---------- 48

3.2. კვლევა: ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაში---------- 52

3.3. ტრანსნაციონალური კომპანიების ზეგავლენა გარდამავალი ეკონომიკების სამომხმარებლო ბაზრებზე და საქართველოს პერსპექტივები---------- 61

დასკვნა---------- 64

გამოყენებული ლიტერატურა---------- 67

დანართი---------- 73

შესავალი

თემის აქტუალობა. თანამედროვე მსოფლიოს სინამდვილეს შეესაბამება ეკონომიკის გლობალიზაციის მზარდი პროცესები, რომლებიც ვლინდებიან მსოფლიო მასშტაბით სახელმწიფოებს შორის ურთიერთგავლენისა და ურთიერთდამოკიდებულების სულ უფრო მეტად გაღრმავებაში. ამ პროცესების ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ტრანსნაციონალური კორპორაციები.

უკავიათ რა ცენტრალური ადგილი თანამედროვე მსოფლიო მეურნეობრივ სისტემაში, ტრანსნაციონალური კორპორაციები ახდენენ სულ უფრო დიდ გავლენას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე, წარმოადგენენ საერთაშორისო ბიზნეს სისტემების დივერსიფიკაციის მთავარ გენერატორს.

თანამედროვე მსოფლიო მოწყობის სისტემა ისეთია, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები გავლენას ახდენენ ეროვნული ეკონომიკების ევოლუციასა და სახელმწიფოების უსაფრთხოებაზე, გააჩნიათ როგორც პოზიტიური ასევე უარყოფითი შედეგები. ისინი უზრუნველყოფენ ზრდის ტემპს, წარმოების ეფექტიანობას, საინვესტიციო რეჟიმის რეალიზაციას, უსაფრთხოების ხარისხობრივად მაღალ დონეს, რომელიც მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის ხარისხზე, მოწინავე ტექნოლოგიების ცვლილებას მსოფლიო მასშტაბით. ამავდროულად ფინანსური სიმძლავრე საშუალებას აძლევს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს გამოდევნონ ბაზრის ყველაზე მომგებიანი სექტორებიდან ადგილობრივი საქონელმწარმოებლები, შეცვალონ სამომხმარებლო ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტები, წარმოგვიდგნენ ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური პროცესების წყაროდ.

ტრანსნაციონალური კორპორაციებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რათა შექმნან პირობები ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პოტენციალის გაზრდისათვის. ამასთან ტრანსნაციონალური

კორპორაციების განვითარების მსოფლიო გამოცდილების და ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაზე ზემოქმედების შესწავლა და გამოყენება მიმღებ ქვეყნებს დაეხმარება ურთიერთქმედების მექანიზმების და ტრანსნაციონალურ ბიზნესზე მარეგულირებელი ზემოქმედების ინსტრუმენტების მოძიებაში.

ბაზრის გლობალიზაციის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მეგა და მაკროეკონომიკური სისტემების დინამიური განვითარების ტენდენცია. ეს ტენდენცია ასახავს, ერთის მხრივ, მზა პროდუქციის, წარმოების, მატერიალური რესურსებით მომარაგების, სამუშაო ძალის, კაპიტალის ბაზრების გლობალიზაციას, რომელიც დამახასიათებელია მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ, გლობალური სახელმწიფოთაშორისი სატრანსპორტო-ლოგისტიკური, ტელესაკომუნიკაციო, სადისტრიბუციო და სხვა ბიზნეს სისტემების შექმნასა და განვითარებას.

აღნიშნული პროცესები მოიცავენ სამომხმარებლო ბაზარსაც, რომლის არსებობაც გულისხმობს კონკურენციას, რეალიზაციის ბაზრებისათვის და ნედლეულის წყაროებისათვის ბრძოლის გამკაცრებას, ასევე წარმოების სხვა პირობებს. ამ შემთხვევაში გლობალიზაცია და ტრანსნაციონალიზაცია აიძულებს კომპანიებს შეცვალონ თავიანთი საქმიანობა სამომხმარებლო ბაზრის განუწყვეტელი ცვლილებების ზემოქმედებით.

გლობალიზაციის პირობებში, ტრანსნაციონალური კორპორაციები გვევლინებიან მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკებში მიმდინარე საკვანძო პროცესების მამოძრავებელ ძალად. ისინი, უმეტეს შემთხვევაში, ახდენენ პოზიტიურ ზემოქმედებას განვითარებად ეკონომიკებსა და მათ სამომხმარებლო ბაზრებზე. ტრანსნაციონალური კორპორაციები ახდენენ საერთაშორისო კონკურენციის სტიმულირებას, საწარმოო, სამეცნიერო და ტექნოლოგიური კავშირების განვითარებას, ინსტიტუციონალური გარემოს ტრანსფორმირებას, გარდაქმნიან ეროვნული სამომხმარებლო ბაზრების სტრუქტურას და აფართოებენ

მათ საზღვრებს, აყალიბებენ ახალ მოთხოვნილებებს და სამომხმარებლო სტანდარტებს.

ამრიგად, ჩვენი თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ რთულ მოვლენას, რომელიც მსოფლიო მეურნეობრივი კავშირების სისტემაში განიცდის განუწყვეტელ ევოლუციას და მოითხოვს მისი არსის, ურთიერთსაწინააღმდეგო გავლენის შესწავლას, ასევე ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის, ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრებზე ზემოქმედების ეროვნული და საერთაშორისო კონტროლის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების მოძიებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესწავლა, ამ ზემოქმედების მარეგულირებელი მექანიზმების უცხოური გამოცდილების ანალიზი და ამ მიმართებით საქართველოს პერსპექტივების გამოვლენა.

დასახული მიზნის მისაღწევად ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად ამოცანებზე:

- ტრანსნაციონალიზაციის ანალიზის, მისი არსისა და ფორმების განხილვის საფუძველზე ტრანსნაციონალური კორპორაციების, როგორც გლობალიზაციის განვითარების ობიექტური ფაქტორის, ექსპანსიის საერთო კანონზომიერებების გამოვლენა;
- ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარებად სამომხმარებლო ბაზარებზე შესვლის ტენდენციებისა და წინააღმდეგობების ანალიზი;
- მსოფლიო ეკონომიკაში ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და სახელმწიფოების პარტნიორობის შედარებითი ანალიზი;
- ტრანსნაციონალური კორპორაციების, როგორც განვითარების ობიექტური ფაქტორის, საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ეკონომიკური ექსპანსიის დადებითი და უარყოფითი მხარეების მიმოხილვა და ანალიზი;

- გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრების განვითარებაში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის შესწავლა;
- ტრანსნაციონალურ კორპორაციების სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაზე ზეგავლენის, ასევე რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული დასკვნების ჩამოყალიბება და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა მიმღები ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე. ხოლო ობიექტს კი ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც ოპერირებენ საქართველოში და საზღვარგარეთ.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქართველი და უცხოელი მეცნიერების ფუნდამენტალური დებულებები, კონცეფციები და პრინციპები, საერთაშორისო ეკონომიკის, საერთაშორისო ბიზნესის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის და ეკონომიკური თეორიის სფეროებში, რომლებიც საშუალებას იძლევიან გამოვავლინოთ სამეურნეო საქმიანობის ტრანსნაციონალიზაციის, ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების კანონზომიერებები გლობალიზაციის პირობებში.

სამაგისტრო ნაშრომში განხორციელებული კვლევის პროცესში გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები:

- სისტემური ანალიზის - ეს არის შემეცნების მეცნიერული მეთოდი, რომელიც წარმოადგენს საკვლევი სისტემის ცვლად ან მუდმივ ელემენტებს შორის სტრუქტურული კავშირების დადგენისათვის ქმედებების თანმიმდევრობას. კვლევის ამ მეთოდის გამოყენებით 1.3; 2.3 და 3.3. ქვეთავებში შედარებული იყო ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ეროვნული სამომხმარებლო ბაზრების თავისებურებები, მათი ამ ბაზრებზე შესვლის სტრატეგიები და მოდელები.

- ლოგიკური მეთოდი - ეს არის რთული ობიექტის (სისტემის) განვითარების სამეცნიერო აღწარმოება თეორიული ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული მოდელის დახმარებით 1.3; 2.2 და 2.3 ქვეთავებში გავაანალიზეთ ტრანსნაციონალური კორპორაციისა და სამომხმარებლო ბაზრების განვითარების ეტაპები, ასევე ტრანსნაციონალური კორპორაციების საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზრებზე შესვლის მეთოდების განვითარების ეტაპები.
- ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდი - ეს არის სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ხერხებისა და წესების ერთობლიობა. სამაგისტრო ნაშრომში მრავლადაა მოცემული სტატისტიკური მონაცემები და მათი ანალიზი
- რაოდენობრივი (მასობრივი გამოკითხვის) - აღნიშნული კვლევის მეთოდი გამოვიყენეთ 3.2 ქვეთავში, რომლის დახმარებითაც მოვახდინეთ რესპოდენტთა გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი.

აღნიშნული მეთოდოლოგიური ბაზის ერთობლიობამ საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა დასაბუთებული დასკვნები და პრაქტიკული წინადადებები.

რით განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისაგან. კვლევის პროცესში, რომელიც ჩავატარე მიმღები ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაზე, ტრანსნაციონალური კორპორაციების ზეგავლენის შესწავლის, ანალიზისა და პერსპექტივების დადგენის მიზნით, გლობალიზაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების მაღალი ტემპის პირობებში, გაირკვა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების ზეგავლენა მიმღები ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე ორმაგი ბუნებისაა, მოყვანილია არგუმენტაცია, გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია პრაქტიკული წინადადებები, რომლის საფუძველზეც უნდა შემცირდეს უარყოფითი ზეგავლენა და მაქსიმალურად გაიზარდოს ტრანსნაციონალური კორპორაციების პოზიტიური გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე.

თავი 1. ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე ტრანსნაციონალიზაციის გავლენის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები გლობალიზაციის პირობებში

1.1. გლობალიზაციის არსი, მნიშვნელობა და ისტორიული მიმოხილვა

მრავალი საუკუნის მანძილზე შეინიშნებოდა მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხების თანდათანობითი დაახლოების პროცესი. მაგრამ მხოლოდ თანამედროვე ეტაპზე აღნიშნული პროცესის განვითარება მნიშვნელოვნად დაჩქარდა. გლობალიზაცია გულისხმობს მსოფლიოს სახელმწიფოების და მთელი საზოგადოების შესვლას ურთიერთქმედების ახალ ფაზაში, რომელიც ხასიათდება უსაზღვროებით და უნივერსალობით. სწორედ გლობალიზაციის პროცესი XX-ე საუკუნის 90-ანი წლებიდან გახდა ახალი მსოფლიო წესრიგის თეორიული სქემის განმსაზღვრელი.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში პირველად გლობალიზაცია ხსენებულ იქნა ეკონომისტების ნაშრომებში, რომლებიც აღნიშნავდნენ ერთიანი მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბებას. ეს პროცესი ხასიათდებოდა საქონლისა და მომსახურების, ასევე კაპიტალის, ბაზრების მზარდი ინტეგრაციით.

გლობალიზაცია XXI-ე საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციაა. სახელმწიფოების ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება განპირობებულია შრომის საერთაშორისო დანაწილების გაძლიერებით და მსოფლიო დონეზე წარმოების სოციალიზაციით. ეს ნიშნავს იმას, რომ პიროვნების, კომპანიის და სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესები სულ უფრო და უფრო იქნება დამოკიდებული საერთაშორისო საწარმოო ურთიერთობებზე.

ტერმინი გლობალიზაცია პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში 1983 წელს გამოიყენა ამერიკელმა ეკონომისტმა ტ. ლევიტმა (Theodore Levitt) სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა „ჰარვარდის ბიზნეს მიმოხილვაში“ (Harvard Business Review)

ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ წარმოებული საქონლის ბაზრების შერწყმის პროცესის აღსანიშნავად. მაგრამ ამ ტერმინმა ფართო გავრცელება ჰპოვა წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. გლობალიზაცია გახდა საკმაოდ ხელსაყრელი ტერმინი XX-ე საუკუნის ბოლოს მსოფლიო მეურნეობაში მიმდინარე პროცესების განსაზღვრისათვის (А.С. Ишмеева, И.Н. Губайдуллина 2016).

გლობალიზაციის საწყისები XVI და XVII საუკუნეებიდან მომდინარეობს, ამ დროს ევროპაში მდგრადი ეკონომიკური ზრდის პროცესი მიმდინარეობდა. მე-XIX საუკუნეში სწრაფმა ინდუსტრიალიზაციამ გამოიწვია ევროპულ ქვეყნებს, მათ კოლონიებსა და აშშ-ს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების რაოდენობის ზრდა. განვითარებად ქვეყნებთან ამ პერიოდში არასამართლიანი ვაჭრობა ატარებდა ექსპლუატაციის ხასიათს.

გლობალიზაციის სირთულისა და წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა მისი განმარტებებისა და მახასიათებლების დიდი რაოდენობა. განსხვავებებს საფუძვლად უდევს იდეოლოგიური შეხედულებები, კუთვნილება სხვადასხვა ეკონომიკურ სკოლებთან, კორპორატიული ინტერესების დაცვა და მეცნიერების პირადი პოზიცია. ავტორები იყენებენ გლობალიზაციას სხვადასხვა მოვლენებისა და პროცესების აღნიშვნისათვის, როგორებიცაა: სამეურნეო ცხოვრების ინტეგრაცია; ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაცია; ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულება; მსოფლიო ბაზრების შერწყმა; მსოფლიო ეკონომიკის უნიფიკაცია; საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და ადამიანების თავისუფალი გადაადგილება; სხვადსხვა ქვეყანაში ადამიანთა ცხოვრების წესის დაახლოება. ხშირად გლობალიზაციას აკავშირებენ მსოფლიო მასშტაბის პრობლემებთან, ისეთებთან როგორებიცაა: ეკოლოგიური, სასურსათო და დემოგრაფიული პრობლემები. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ გლობალიზაცია წარმოადგენს ადამიანის მიერ წარმოებულ პროცეს, თავისებურ პოლიტიკას, რომლის გატარებას ხშირად მიაწერენ განვითარებულ ქვეყნებს აშშ-ის მეთაურობით (А.С. Ишмеева, И.Н. Губайдуллина 2016).

გლობალიზაციის დინამიკა დაკავშირებულია მსხვილი საერთაშორისო მოვლენების თარიღებთან. აღნიშნავენ გლობალიზაციის მასტიმულირებელ ძირითად სამ მოვლენას. ეს არის პირველ რიგში ევროპის საზოგადოებების კონფერენცია, რომელიც შედგა ლუქსემბურგში 1985 წელს, მან მიიღო ევროპული აქტი (იგი ძალაში შევიდა 1987 წელს), რომლითაც გამოაცხადა საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანთა მოძრაობის თავისუფლება. მეორე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების კონფერენცია (GATT - დაარსდა 1947 წელს) 1989 წელს, რომელმაც საფუძველი დაუდო მოლაპარაკების ურუგვაის რაუნდს (ძირითადად ვაჭრობაში ტარიფებისა და სხვა შეზღუდვების შემცირების შესახებ) და გრძელდებოდა ექვსი წლის განმავლობაში. 1995 წლის 1 იანვარს შეიქმნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (BTO), რომელმაც შეცვალა GATT-ი და ერთწლიანი გარდამავალი პერიოდის შემდეგ 1996 წლის 1 იანვარს სრულად შევიდა თავის უფლებამოსილებაში. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საერთაშორისო ვაჭრობისა და წევრ-სახელმწიფოებს შორის სავაჭრო პოლიტიკური ურთიერთობების დარეგულირების მიზნით. 1995 წელს ამ შეთანხმების 75 წევრმა ქვეყანამ ჩამოაყალიბა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO). ამ ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა და ამჟამად 153 წევრ ქვეყანას ითვლის (D. A. Irwin 2018). 2001 წლის 26 მარტიდან საქართველო ამ ორგანიზაციის 137 წევრი გახდა.

თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის მკვლევართა უდიდესი უმრავლესობა ცდილობს იგი დაიყვანოს მსოფლიო საზოგადოების ერთიან სივრცეში თანდათანობითი გაერთიანების პროცესამდე, სივრცეში რომელშიც იქნება ერთიანი კანონები და სამართლებრივი ნორმები, რაც გამოიწვევს სოციუმების უნიკალურობისა და თავისებურებების დაკარგვას. საქმე გვაქვს მსოფლიო საზოგადოების გომოგენიზაციასთან (რაიმე მრავალგვაროვნის ერთგვაროვნად გადაქცევა), რომელიც არა მხოლოდ გავლენას ახდენს საწარმოო-სამეურნეო

სფეროზე, არამედ იწვევს ცვლილებებს საყოფაცხოვრებო დონეზე. ეს ცვლილებები ხასიათდება ადამიანთა მოთხოვნების მასიური უნიფიკაციით, როგორც ფიზიოლოგიურ, ასევე სულიერ და კულტურულ ურთიერთობებში (В. Перская, В. Глуховцев 2011).

ნებისმიერი ცვლილება შეუძლებელია მიღებულ იქნეს წინააღმდეგობის გარეშე. ის განიცდის ტრანსნაციონალიზაციას და ადაბტირდება არსებულ მოთხოვნილებებთან და ნორმებთან. ასე რომ ნებისმიერი ფენომენი ახალ გარემოში მოხვედრის შემდეგ აღარ არის ის რაც რეალურად იყო, ახალი ნიადაგის გარეშე ის მოცემულობას არ იცვლის. აღნიშნული სიტუაცია გვხვდება გლობალიზაციის პირობებშიც. ნებისმიერი ქვეყანა, როგორც არ უნდა იყოს იგი ჩართული მსოფლიო პროცესებში სხვა სახელმწიფოებთან, მისი იდენტურობა ბოლომდე არ ქრება. ყველა ქვეყანას გააჩნია განსაკუთრებული მახასიათებელი, რომელიც მხოლოდ მათთვის არის დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი.

ერთ-ერთ წამყვან როლს გლობალიზაციის პროცესში, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანობა და გამორიცხოს გამონაკლისები, თამაშობს მოსახლეობის ინფორმირებულობა. გარდაქმნების გატარებისას წარმატების განსამტკიცებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კარგად იქნეს ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრი იმ საკითხების ირგვლივ, რომლებიც მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისათვის. ამიტომ გატარებულ პოლიტიკაში აუცილებელია გვახსოვდეს ინფორმაციის და საკომუნიკაციო ნაკადების მრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებლობა. თანამედროვე ეტაპზე იზრდება ინტერნეტის როლი საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის სფეროში.



ნახ. 1.1. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის კომპონენტები (Т.В. Ромашкин 2016)

საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადები არა მხოლოდ მნიშვნელოვნად იქნა ინტენსიფიცირებული, არამედ მათ შეიძინეს ახალი თვისებები: ასეთი ნაკადების მნიშვნელოვანი ნაწილი ატარებს უკვე შიდაკორპორაციულ ხასიათს, რაც ანიჭებს მათ განსაკუთრებულ მდგრადობას. უფრო მეტიც, ეროვნული მეურნეობების სავაჭრო ურთიერთგადაჯაჭვა შეივსო ახალი ძლიერი კავშირებით - ძირითად საწარმოო ფონდებზე საერთაშორისო საკუთრებით. ყოველი ქვეყნის ეკონომიკა ხდება სულ უფრო ტრანსნაციონალური. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირება დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, როგორც საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტზე, ასევე უცხოური კაპიტალის შემოდინებაზე. ეს ტენდენციები გამოსახულები უფრო მასშტაბურ პროცესებში სქემატურად მოყვანილია ნახაზზე (იხ. ნახ. 1.1.).

გლობალიზაციის პოზიტიური მნიშვნელობა ძნელია შეაფასო გადაჭარბებულად: განუზომლად იზრდება კაცობრიობის შესაძლებლობები, უფრო კარგად არის გათვალისწინებული საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარე, იქმნება პირობები მისი ჰარმონიზაციისათვის. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ქმნის სერიოზულ საფუძველს ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გადასაწყვეტად. გლობალიზაციის საბოლოო შედეგი, მრავალი მეცნიერის აზრით, უნდა გახდეს მსოფლიოში კეთილდღეობისა და ცხოვრების დონია ამაღლება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიო ეკონომიკაში გლობალიზაციის პროცესები აღიქმება და ფასდება სხვადასხვანაირად. მაგრამ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ არა მხოლოდ მეცნიერებს, სპეციალისტებსა და ექსპერტებს, არამედ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებსაც. გლობალიზაციურ პროცესებს უფრო ხშირად მიესალმებიან განვითარებულ ქვეყნებში და იწვევს სერიოზულ შეშფოთებას განვითარებად მსოფლიოში. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ გლობალიზაციის უპირატესობები განაწილებულია არათანაბრად.

ეს ყოველივე ეფუძნება იმ ფაქტს, რომ სწორედ გლობალიზაციის დახმარებით აშშ-ი უმკლავდება უზარმაზარ საგარეო ვალს, რომელიც აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა 19,7 ტრილიონ $ (US Treasury. 2018). ამრიგად, გლობალიზაცია აშშ-ს საშუალებას აძლევს, უახლოესი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებითაც კი, თავიდან აიცილოს დეფოლტი და შეინარჩუნოს დოლარის, როგორც მსოფლიო საკვანძო ვალუტის როლი.

აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ხდება გლობალიზაციის არსის დიფუზია და მონოპოლარული მსოფლიო მეურნეობის ფორმირება, რომლის დროსაც ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების დონე განისაზღვრება მომსახურების სფეროს წილით მშპ-ში. ჩამოყალიბდა გლობალური ბაზარი, რომელიც წარმოადგენს ფუნქციურად მთლიან სისტემას და მასში შედის სხვადსხვა

დონისა და კონფიგურაციის მრავალი ქვესისტემა, რომელთაც გააჩნიათ განვითარების თავიანთი ლოგიკა.

ერთი მხრივ გლობალიზაცია აადვილებს სამეურნეო ურთიერთკავშირებს სახელმწიფოებს შორის, ქმნის პირობებს კაცობრიობის მოწინავე მიღწევებისადმი ქვეყნების ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის, უზრუნველყოფს რესურსების ეკონომიას, ახდენს მსოფლიო პროგრესის სტიმულირებას, ხოლო მეორეს მხრივ, ხდება პერიფერიული ეკონომიკის მოდელის განმტკიცება, ქვეყნის საკუთარი რესურსების დაკარგვა, მცირე ბიზნესის გაკოტრება, გლობალური კონკურენციის განვითარება, მსოფლიო სიღარიბის გავრცელება.

გლობალურ ეკონომიკაში მოქმედებს რიგი ფაქტორებისა, რომელთაც გააჩნია წინააღმდეგობრივი ხასიათი და იწვევენ არაერთმნიშვნელოვან შედეგებს: ეკონომიკური ლიბერალიზაციის იდეის აქტიური შემუშავება და პროპაგანდა; შრომის განაწილების პროცესის გაღრმავება; ინფრასტრუქტურული შემადგენლების უაღრესად სწრაფი განვითარება; ეკონომიკური და ტექნიკური პროექტების გართულება და მასშტაბების ზრდა, რომელიც მოითხოვს დიდ ფინანსურ, მატერიალურ და ინტელექტუალურ რესურსებს, რომელთა განხორციელება ზოგჯერ არ არის ხელმისაწვდომი ცალკეული სახელმწიფოებისათვის; პრობლემები და საფრთხეები, რომლებიც გავლენას ახდენს მთელი კაცობრიობის ინტერესებზე; სამუშაო ძალის შედარებით ადვილი მიგრაცია.

ამრიგად, მთავარი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ გლობალიზაცია წარმოადგენს სახელმწიფო დონეზე გადაუწყვეტელი ზეეროვნული პრობლემებისა და წინააღმდეგობების გამწვავების ობიექტურ შედეგს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მსოფლიო განვითარებაში უალტერნატივო მოვლენასთან. მას აქვს სისტემური ხასიათი, ვინაიდან იგი ვითარდება სოციალური ინსტიტუტების საქმიანობისაგან დამოუკიდებლად და გამოწვეულია გარე მიზეზებით. სწორედ ამიტომ აღნიშნული მოვლენის გაგებასა და შესწავლას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა, არა მხოლოდ

სოციალური სფეროს მართვის პრაქტიკოსებისათვის, არამედ მთელი სოციალური თეორიისათვის.

გლობალიზაციის პროცესის განხილვას ახდენენ მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობების დონეზე, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთელი სისტემის, ასევე მთლიანობაში მსოფლიო ეკონომიკის მომცველის. მსოფლიო სამეურნეო კავშირების გლობალიზაცია გულისხმობს განვითარების ექსტენსიურ და ინტენსიურ მიმართულებებს. იგი ატარებს უპირატესად პოზიტიურ ხასიათს, მაგრამ შესაძლოა ჰქონდეს ასევე ნეგატიური შედეგები.

1.2. ტრანსნაციონალური კორპორაციები და გლობალიზაცია

გლობალიზაცია ბოლო 20-25 წლის განმავლობაში წარმოადგენს სოციალური მეცნიერებების კვლევის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს. ყველაფერი მიგვითითებს იმაზე, რომ გლობალიზაცია ხელს უწყობს პირობების შექმნას ნაციონალური ეკონომიკების განვითარებისათვის არა დისკრიმინაციულ, არამედ პატიოსან და სამართლებრივ საფუძველზე. გლობალიზაციის წყალობით, გახშირდა შემთხვევები, როცა მრავალ ქვეყანაში ხდება სოციალურ-ეკონომიკური ორიენტირების ცვლილება, შედეგად ხდება საკმაოდ ძნელი ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლად განვითარება. მაგრამ, სამეცნიერო და პუბლიცისტური ლიტერატურის სიმრავლის მიუხედავად, გლობალიზაციის პროცესი, მისი განვითარება წარმოშობილი პრობლემები და შედეგები ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

ძირითად ეკონომიკურ ძალას, მნიშვნელოვან ელემენტებს და ეკონომიკის გლობალიზაციის წამყვან ფაქტორებს წარმოადგენს ტრანსნაციონალური კორპორაციები და მსოფლიო ფინანსური ცენტრები. ტრანსნაციონალური კორპორაციები განისაზღვრება, როგორც საერთაშორისო კომპანიები, რომლებსაც

აქვთ თავისი ქვეგანყოფილებები მსოფლიოს სხვადსხვა ქვეყანაში და მართავენ მათ ერთი ან რამდენიმე ცენტრიდან.

თანამედროვე ეტაპზე სამეურნეო ცხოვრების გლობალიზაცია ხასიათდება ტრანსნაციონალური კორპორაციების მკვეთრი ზრდით და მსოფლიო ეკონომიკაში მათი როლის გაზრდით. ეკონომიკური გლობალიზაციის ობიექტურ მოთხოვნებს მივყავართ იქამდე, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი მსხვილი ეროვნული კომპანია იძულებულია ჩაერთოს მსოფლიო მეურნეობაში, ამით კი ისინი გადაიქცევიან ტრანსნაციონალურ კორპორაციად. ტრანსნაციონალური კომპანიების ქვეშ გულისხმობენ მსხვილ ბიზნეს ორგანიზაციებს, რომელთაც გააჩნიათ ერთიანი განვითარების სისტემა, რომელიც ძირითადად გლობალურია. ასეთი კომპანიები მსოფლიო მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგს უწევენ კონტროლს და მათ საწარმოები რამდენიმე ქვეყანაში აქვთ.

ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოშობის მომენტიდან ისინი მოქმედებენ, როგორც ეკონომიკური ორგანიზაციები. ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ამ კორპორაციების სხვა ქვეყნების ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობაზე, რაც წარმოადგენს ტრანსნაციონალური კომპანიების დამახასიათებელ ნიშანს. ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოშობის ძირითად მიზეზებს მიაკუთვნებენ მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობის ტრანსნაციონალიზაციას, როდესაც მართვის ძველმა მეთოდებმა და მოგების მიღების ხერხებმა ამოწურეს თავისი თავი და მაშინ საჭირო გახდა ახალი უფრო ეფექტიანი 21-ე საუკუნის სტანდარტებთან მიახლოებული მეთოდების შემუშავება. თანამედროვე მრავალეროვნულ კორპორაციებს გააჩნიათ ორი განმასხვავებელი ნიშანი: ერთის მხრივ, საერთაშორისო წარმოების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ეფუძნება საწარმოო ერთეულების მრავალ ქვეყანაში განაწილებას, ხოლო მეორე მხრივ - მათი წარმოების მოწინავე დარგები, რომელთა სწრაფი განვითარება გულისხმობს დიდი კაპიტალდაბანდების საჭიროებას და მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვას. ყოველივე ეს უზრუნველყოფს

მათთვის საიმედო უსაფრთხოებას, თუ ეროვნული მთავრობები გადაწყვეტენ მათ ნაციონალიზაციას. ისინი თავის საწარმოებსა და სავაჭრო ობიექტებს ათავსებენ ადგილებში, რომლებიც ხელსაყრელია მათთვის და ყოველთვის არ ითვალისწინებენ მიმღები ქვეყნის ინტერესებს.

ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკის, საერთაშორისო ვაჭრობის და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მნიშვნელოვან ელემენტს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მათი განვითარების მაღალი ტემპი იწვევს საერთაშორისო კონკურენციის გამწვავებასა და შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებას. ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ, როგორც მსოფლიო სამეურნეო კავშირების სრული სპექტრის უშუალო მონაწილეებს, ასევე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების „ლოკომოტივს“. ისინი არიან, ერთის მხრივ, სწრაფად განვითარებადი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პროდუქტი, ხოლო მეორეს მხრივ თვითონ წარმოადგენენ მათზე მოქმედების მძლავრ მექანიზმს (А.Я. Эльянов 2005).

თანამედროვე ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა საქონლისა და მომსახურების გაცვლის გარდა დამატებით ჩამოაყალიბეს საერთაშორისო წარმოება, მისი შესაბამისი საერთაშორისო მომსახურებისა და ფინანსური სფეროები, რითაც ხელი შეუწყვეს, ძირითადად ლოკალური, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნას გლობალურ ტრანსნაციონალურ კორპორაციებად, გარდაქმნეს მსოფლიო ეკონომიკა საერთაშორისო წარმოებად, უზრუნველყვეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველა ძირითადი მიმართულების განვითარება, ისეთების როგორებიცაა: ტექნიკური დონე და პროდუქციის ხარისხი, წარმოების ეფექტიანობა, მენეჯმენტის ფორმებისა და წარმოების მართვის დახვეწა. ისინი მოქმედებენ თავიანთი შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების მეშვეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ერთიანი მეცნიერულ-საწარმოო და ფინანსური სტრატეგიით, ფლობენ უზარმაზარ მეცნიერულ-საწარმოო და საბაზრო

პოტენციალს, რომელიც უზრუნველყოფს მათი განვითარების დინამიზმს (В.А. Медведев 2004).

მიღებულია, რომ თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციების პირველ სახეს წარმოადგენდა ტამპლერის ორდენი, რომელიც დაარსდა 1118 წელს. ვინაიდან სწორედ მან დაიწყო საკუთარი საბანკო საქმე, რომელმაც შემდგომში მოიცვა არა ერთი სახელმწიფო. პირველ ნამდვილი ტრანსნაციონალური კომპანია გახდა ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია. მისი დაარსება დათარიღებულია1600 წლით და დაკავშირებულია დედოფალ ელიზაბეტ 1-ის სახელთან. მისი განკარგულებით კომპანიას მიენიჭა მონოპოლიური უფლება ინდოეთში ვაჭრობის წარმოებაზე. ამ კომპანიის მართვას აწარმოებდნენ გუბერნატორი და დირექტორთა საბჭო. შედეგად კომერციული კორპორაცია დროთა განმავლობაში იქნა აღჭურვილი სამხედრო და სამთავრობო ფუნქციებით, რამაც მისცა საშუალება ეთამაშა გადამწყვეტი როლი არა მხოლოდ ინდოეთის კოლონიზაციაში, არამედ სხვა აღმოსავლეთ ქვეყნებისაც. მას ჰყავდა საკუთარი ჯარები, რომლებიც აწარმოებდნენ სრულფასოვან საომარ მოქმედებებს სხვა ქვეყნების დაპყრობის მიზნით. აღნიშნულმა ტრანსნაციონალურმა კორპორაციამ თავისი უსაზღვრო უფლებამოსილებები დაკარგა 1858 წელს, როდესაც მისი ყველა ადმინისტრაციული უფლებამისილებები გადაეცა ბრიტანეთის სამეფო კარს. შედეგად, 1874 წელს ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია ლიკვიდირებულ იქნა (Транснациональные корпорации. 2011).

ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარების ისტორიაში კიდევ ერთ განუყოფელ რგოლს წარმოადგენს ჰოლანდიური ოსტ-ინდოეთის კომპანია. იგი შეიქმნა 1602 წელს და დაიკავა მონოპოლიური მდგომარეობა ცეილონთან, ჩინეთთან, იაპონიასთან და ინდონეზიასთან ვაჭრობაში. მისი ძირითადი წვლილი ისტორიაში იყო ის, რომ აღნიშნული კორპორაცია იყო სააქციო საზოგადოება, რაც წარმოადგენდა სიახლეს იმდროინდელი მსოფლიოსათვის. იგი თავის მონაწილეებს სთავაზობდა საქმიანი პასუხისმგებლობისა და მოგების განაწილებას. დასაწყისში 1644 წლამდე აქციონერებს დივიდენდებს უხდიდნენ ჩამოტანილი საქონლით,

ხოლო შემდეგ ნატურით. მან თავისი არსებობა შეწყვიტა 1798 წელს. შემდგომში ტრანსნაციონალური კორპორაციები შეიქმნენ მთელს მსოფლიოში და გახდნენ ორგანიზაციული ბიზნესის გავრცელებული ფორმა.

ტრანსნაციონალური კორპორაციები მეურნეობის თითქმის ყველა დარგში არიან. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან წარმოებული პროდუქციით და წარმოების პროცედურებით. ეს განსხვავებები შემდეგნაირი შეიძლება იყოს: ტექნოლოგიის დონე, მენეჯმენტის სტილი და პროდუქციის ბაზრის სტრუქტურა. ასეთ კორპორაციებში მენეჯმენტი და მარკეტინგი ხშირად შერეულია. უმეტეს შემთხვევაში ტრანსნაციონალური კორპორაციები ექვემდებარებიან რამდენიმე ქვეყნის იურისდიქციას, რაც საკმაოდ აძნელებს ერთი სახელმწიფოს მიერ მათ გაკონტროლებას. ტრანსნაციონალური კორპორაციები იყოფა შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: მათი სიდიდე, ფილიალების რაოდენობა, საქმიანობის ტიპი, უცხოურ ფილიალებთან კავშირის ტიპი, როგორ საკუთრებაშია - მთლიანი, ნაწილობრივი თუ ერთობლივი. ასევე განსხვავებაა სერვისების მიხედვითაც.

გლობალიზაცია დაკავშირებულია ბაზრების მიერ გლობალური სახის მიღების მზარდ ტენდენციასთან. ტრანსნაციონალური კორპორაციები ისწრაფვიან განალაგონ თავიანთი საქმიანობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მათ სურთ მოახდინონ სტრატეგიებისა და ოპერაციების კოორდინაცია და ინტეგრაცია ეროვნული საზღვრების მიღმა. ამდენად გლობალიზაცია უკავშირდება მსოფლიო მასშტაბის მოგებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, რაც განაპირობებს ეროვნული ეკონომიკების მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში ფუნქციონირებს დაახლოებით 82 000 ტრანსნაციონალური კორპორაცია, რომლებსაც გააჩნიათ 810000-მდე ფილიალი სხვადასხვა ქვეყანაში. ისინი აკონტროლებენ მსოფლიო ვაჭრობის 50%-ზე მეტს. ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე მოდის პატენტების, ლიცენზიებისა და ნოუ-ჰაუს გაყიდვების 90% (А.В. Попова, Р.И. Гриванов 2018).

Fortune Global 500-ის რეიტინგში 2018 წელს ამონაგების მიხედვით შევიდა 126 ამერიკული ტრანსნაციონალური კომპანია, ამის მიუხედავად ტოპ-10-ში შედის მხოლოდ სამი (იხ ცხრილი 1.1.).

ცხრილი 1.1.

მსოფლიოს უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციების ტოპ-10-ული 2018 წელს

ადგილი	ტნკ-ების დასახელება	ქვეყანა	დარგი	ამონაგები მილიარდი დოლარი	თანამშრომ-ელთა რაოდენობა
1.	Walmart	აშშ	ვაჭრობა	500	2 300 000
2.	State Grid	ჩინეთი	ელექტრო ხაზები	345	913 546
3.	Sinopec Group	ჩინეთი	ნავთობ-ქიმია	326	667 793
4.	China National Petroleum	ჩინეთი	ნავთობი და გაზი	326	1 470 193
5.	Royal Dutch Shell	ნიდერლანდები	ნავთობი და გაზი	311	84 000
6.	Toyota Motor	იაპონია	მანქანათ-მშენებლობა	265	369 124
7.	Volkswagen	გერმანია	მანქანათ-მშენებლობა	260	642 292
8.	BP	დიდი ბრიტანეთი	ნავთობი და გაზი	244	74 000
9.	Exxon Mobil	აშშ	ნავთობი და გაზი	244	71 000
10.	Berkshire Hathaway	აშშ	სხვადასხვა დარგი	242	377 000

წყარო: ცხრილი შედგენილია Fortune Global 500-ის მონაცემებზე დაყრდნობით (Fortune Global 500. Full List 2019)..

როგორც ცხრილიდან ჩანს პირველ ადგილზე 500 მილიარდი ამონაგებით იმყოფება კორპორაცია Walmart-ი, რომელიც დაკავებულია საბითუმო და საცალო ვაჭრობით უპირატესად მექსიკასა და აშშ-ში. მე-9 ადგილი უკავია უმსხვილეს ნავთობის ტრანსნაციონალურ კორპორაციას Exxon Mobil-ს, რომლის ამონაგები 244 მილიარდი დოლარია, ხოლო მე 10-ე ადგილზეა ტრანსნაციონალური კორპორაცია Berkshire Hathaway 242 მილიარდი დოლარი ამონაგებით.

2,3,4 ადგილები უკავიათ ჩინურ კომპანიებს:

- State Grid (თითქმის 345 მილიარდი დოლარი ამონაგები);
- Sinopec Group (326 მილიარდი დოლარი ამონაგები);
- China National Petroleum (326 მილიარდი დოლარი).

სულ რეიტინგში შედის 110 ჩინური ტრანსნაციონალური კორპორაცია, რომლებიც სულ ახლო წარსულში გახდნენ ამ რეიტინგის მონაწილენი. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ასაბუთებს ამ ქვეყნის ეკონომიკის უდიდეს პოტენციალს.

ცხრილი 1.2.

უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციების განაწილება საწარმოო სპეციალიზაციის და ქვეყნების მიხედვით 2018 წელს

საქმიანობის სფერო	ტნკ რაოდენობა	ქვეყანა დამაარსებელი
ნავთობისა და გაზის მოპოვება	31	აშშ, ჩინეთი, რუსეთი და ა.შ.
საბანკო-საფინანსო	71	აშშ, ჩინეთი, ავსტრალია და ა.შ.
საკვები პროდუქტების წარმოება	8	შვეიცარია, აშშ, დიდი ბრიტანეთი და ა.შ.
პროგრამული უზრუნველყოფა, კომპიუტერული მომსახურება	16	აშშ, გერმანია, ინდოეთი, იაპონია და ა.შ.
მაღალტექნოლოგიური წარმოება	19	აშშ, იაპონია, ტაივანი და ა.შ.
ავტომობილებისა და მათი ნაწილების წარმოება	17	იაპონია, გერმანია, აშშ და ა.შ.
ფარმაცევტული წარმოება და ბიოტექნოლოგიები	30	შვეიცარია, საფრანგეთი და ა.შ.
საცალო ვაჭრობის სფერო	16	აშშ, ესპანეთი, მექსიკა და ა.შ.

წყარო: ცხრილი შედგენილია UNCTAD Statistics-ის (გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე) მონაცემებზე დაყრდნობით (UNCTAD Statistics 2018).

რეიტინგში მე 5-ე ადგილზე არის ნიდერლანდების ნავთობისა და გაზის ტრანსნაციონალური კორპორაცია, ხოლო მე 6-ე და მე 7-ე ადგილები უკავიათ საავტომობილო კონცერნებს: იაპონურ Toyota Motor-ს (265 მილიარდი დოლარი

ამონაგებით) და გერმანულ Volkswagen-ს (260 მილიარდი დოლარი ამონაგებით). მე 8 ადგილი უკაცია დიდი ბრიტანეთის ტრანსნაციონალურ კორპორაცია BP-ს (Fortune Global 500. Full List. 2019.).

ყველაზე მეტი ტრანსნაციონალური კორპორაცია დარეგისტრირებულია გერმანიაში (7 ათასზე მეტი), ხოლო მათი შვილობილი კომპანიები ჩინეთში (45000). შემდეგ მოდის იაპონია, შვეცია, შვეიცარია, აშშ, და დიდი ბრიტანეთი. მაგრამ კაპიტალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით მოწინავე ტრანსნაციონალური კომპანიები განთავსებულნი არიან უპირატესად აშშ-ის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ მოდიან დიდი ბრიტანეთი და იაპონია. შემდგომ განვიხილოთ კორპორაციების სტრუქტურა სექტორების მიხედვით, რომელშიც ისინი აწარმოებენ თავიანთ ძირითად საქმიანობას. ბოლო დროს იგი დიდწილად, უცვლელი რჩება, ესაა გადამამუშავებელი მრეწველობა, მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება მომსახურების სფეროებშიც. ქვემოთ მოყვანილია ჯამური ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილია ის, თუ როგორ არიან გადანაწილებულნი ტრანსნაციონალური კორპორაციები საქმიანობის მიმართულებების მიხედვით 2018 წელს (იხ ცხრილი 1.2.).

როგორც ცხრილიდან ჩანს მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების უმრავლესობა ფუნქციონირებენ საბანკო-საფინანსო სფეროში. შემდეგ მოდის ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ტრანსნაციონალური კორპორაციები, ხოლო მესამე ადგილზეა ფარმაცევტული წარმოება და ბიოტექნოლოგიები.

განვიხილოთ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ტრანსნაციონალური კომპანიები მათი ტოპ-10-ული გამოიყურება ცხრილში მოცემული სახით (იხ. ცხრილი 1.3.).

როგორც ცხრილიდან ჩანს მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ტრანსნაციონალური კორპორაციების ტოპ-10-ში შედის 8 აშშ-ის და ორი ჩინური ტრანსნაციონალური კორპორაცია.

ცხრილი 1.3.

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ტრანსნაციონალური კომპანიები 2019 წლის 31 აპრილისათვის

	ტნკ	ქვეყანა	კომპანიის საბაზრო ღირებულება (მილიარდი $)
1.	Amazon Inc.	აშშ	802.18
2.	Microsoft	აშშ	789.25
3.	Alphabet Inc	აშშ	737.37
4.	Apple Inc.	აშშ	720.12
5,	Berkshire Hathaway Inc.	აშშ	482.36
6.	Facebook	აშშ	413.25
7.	Tencent	ჩინეთი	400.90
8.	Alibaba Group	ჩინეთი	392.25
9.	Johnson & Johnson	აშშ	347.99
10.	JPMorgan Chase	აშშ	332.24

წყარო: ცხრილი შედგენილია FXSSI-ის მონაცემების მიხედვით
https://ru.fxssi.com/top-10-samyx-dorogix-kompanij-mira

ამრიგად, ტრანსნაციონალური კორპორაციები გლობალიზაციის პირობებში გამოდიან მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკების საკვანძო პროცესების მამოძრავებელ ძალად. ისინი დადებით ზეგავლენას ახდენენ განვითარებად ეკონომიკებსა და მათ ბაზრებზე. ტრანსნაციონალური კორპორაციები ახდენენ საერთაშორისო კონკურენციის სტიმულირებას, საწარმოო, სამეცნიერო და ტექნოლოგიური კავშირების განვითარებას, ასევე ინსტიტუციონალური გარემოს ტრანსფორმაციას, გარდაქმნიან და აფართოებენ ეროვნული სამომხმარებლო ბაზრების სტრუქტურას და საზღვრების გაფართოებას, აყალიბებენ ახალ მოთხოვნებსა და სამომხმარებლო სტანდარტებს.

1.3. ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარებად სამომხმარებლო ბაზარებზე შესვლის მიზეზები, მასშტაბები ტენდენციები და წინააღმდეგობები

სამამულო ლიტერატურისთვის მიღებულია ტრანსნაციონალური კორპორაციების ოპერაციების მასშტაბების, საქმიანობის მაჩვენებლების შეფასება. ეს შეფასებები დაფუძნებულია მათი უცხოური საქმიანობის ანალიზზე. ჩვენი ნაშრომის მიზნისათვის მნიშვნელოვანია ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა მთლიანობაში დანახვა, ანუ მთლიანად შეაფასოს მისი შიდა და გარე აქტიურობა. ვინაიდან წინააღმდეგობები დაკავშირებულნი ტრანსნაციონალურ კომპანიებთან, წარმოიშვებიან მთლიანობაში მონოპოლიის საფუძველზე, ესენია ეკონომიკური განვითარების წინააღმდეგობების გამწვავება, გლობალური წარმოების პროცესების არათანაბრობის გაძლიერება, სტრუქტურული და ფუნქციური კრიზისების წარმოქმნა და ა.შ.

ამავდროულად არსებობს ისეთი წინააღმდეგობები, რომლებიც წარმოქმნილია ტრანსნაციონალური კორპორაციების შიდა ეკონომიკური ექსპანსიის შედეგად, ესენია:

- წინააღმდეგობების ახალი კვანძი, რომელიც წარმოიქმნება ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და ეროვნულ (სახელმწიფო) პოლიტიკურ ორგანიზაციულ გაერთიანებებს შორის;
- ტრანსნაციონალური კორპორაციების დეტერმინირებული აქტივობა, მათ შორის საბაჟო და სავალუტო კონტროლის ტრადიციული ფორმების ეფექტურობის შემცირება;
- გლობალურ ეკონომიკურ გარემოში საკუთრების კაპიტალისა და კაპიტალის ფუნქციების ერთმანეთისაგან გამოყოფასთან დაკავშირებული;
- ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური პოტენციალისადმი მიმღები ქვეყნის დაქვემდებარების წარმოშობა და ა.შ.

სწორედ ტრანსნაციონალური კორპორაციები ხდიან აუცილებელსა და შესაძლებელს საერთაშორისო ბაზრებზე ექსპანსიას და თავისი საქმიანობით ისინი მუდმივად აგრძელებენ ქვეყნების სტიმულირებას (Л.В. Шкваря, 2016).

ეკონომიკურ ლიტერატურაში ავტორები მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში გამოყოფენ სამიდან ხუთ ეტაპამდე განვითარების ფაზებს, რომლებიც კარგად აღწერენ ტრანსნაციონალური კორპორაციების თაობების ევოლუციას. კვლევებზე დაყრდნობით გამოიყო ექვსი ეტაპი, რომელიც ეხება ტრანსნაციონალიზაციის ევოლუციას ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპანსიას. სწორედ მათ ჩარჩოებში ტრანსფორმირდებიან მათი ფორმები, საქმიანობის სფეროები, პრიორიტეტები, შინაგანი კულტურა და ექსპანსიის სტრატეგია.

კაპიტალის დაგროვების წინააღმდეგობების გამო, შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ტრანსნაციონალური კორპორაციების საერთაშორისო ბაზრებზე ექსპანსიის მიზეზად შეიძლება დასახელდეს სამი პროცესი, რომელიც დამახასიათებელია სხვადასხვა ქვეყნების თანამედროვე ეკონომიკისათვის. ეს პირველ რიგში - არის გლობალიზაციის გავლენით კაპიტალური ეკონომიკის მზარდი მონოპოლიზაცია, მეორე - ინოვაციურ საქმიანობაზე დაყრდნობის მასშტაბური სტრუქტურული რესტრუქტურიზაცია. მესამე - მონოპოლიების მასიური გადასვლა დივერსიფიცირებულ ფორმებზე და დივერსიფიკაციაზე. სამივე პროცესს გააჩნია პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზეგავლენა ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობაზე. განვიხილოთ თითოეული მათგანი უფრო ვრცლად (И.В. Давиденко 2016).

კაპიტალიზმის ეკონომიკის მონოპოლიზაცია არის ხელთ არსებული ქონება, განვითარების სტაბილური ტენდენცია. მონოპოლიზაციის ტენდენცია საკმაოდ გავრცელებულია განვითარებულ ქვეყნებში. (ეროვნული შემოსავალი, საცალო ვაჭრობა, სამრეწველო წარმოება და სხვა). ძალიან სწრაფად იზრდება მონოპოლიზაციის დონე წარმოების დონეების ზრდასთან ერთად, კაპიტალისტური

მეურნეობის საკვანძო სექტორში ორ ან სამ კომპანიაზე, ზოგიერთ დარგში კი ერთი კომპანიაზე მოდის წარმოებული პროდუქციის მოცულობის 65 - დან 90%-მდე. მაგ: მონოპოლიზაციას დიდი ბიძგი აშშ-ში მისცა რეიგანის პოლიტიკურმა ადმინისტრაციამ. რომელმაც შიდა ინდუსტრიის შემზღუდველი პროცესების დიდი ნაწილი ამოიღო, რომელიც იყო გათვალისწინებული ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. შედეგად უკვე 1984-1987 წლებში ისეთი ინდუსტრიული ცვლილებები განხორციელდა რაც 70-იან წლებში შეუძლებელი იყო (И.В. Давиденко 2016).

მრეწველობის დონეზე (განსაკუთრებით მაშინ როცა საქმე ეხება ტრანსნაციონალურ მრეწველობას: საავტომობილო, მეტალურგიული, ქიმიური და მრავალი სხვა) მონოპოლიზაციის და კონტროლის დონემ უკვე მიაღწია უმაღლეს მაჩვენებლებს. მე 20-ე საუკუნის 60-იან წლებში ის დამახასიათებელი იყო აშშ-სთვის, 60-70-იან წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, ხოლო 70-80- იან წლებში იაპონიისთვის. შედეგად ყველა წამყვან ქვეყანაში კონცენტრაცია და წარმოების მონოპოლიზაცია საკამოდ კარგ დონემდე გაიზარდა. მსგავს სიტუაციაში სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია. სტანდარტების შესაბამისად ქვეყნის გარეთ მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვანია ექსპანსიის დროს (ქვეყნის გარეთ პროდუქციის გატანა). ამ შემთხვევაში ტრანსნაციონალური კორპორაციები სხვადასხვა წინააღმდეგობების მოგვარების ერთგვარი ფორმაა. ის არ აღმოფხვრის არამდე ქმნის ახალ გარემოს განვითარებისთვის (А.В. Березной 1986).

მეორე პროცესი, რომელიც ახასიათებს შიდა ეკონომიკურ ცხოვრებას განვითარებულ ქვეყნებში - არის სტრუქტურული რეგულირება, „ხელახალი ინდუსტრიალიზაცია“. ეს არის ფენომენი, რომელმაც შეძლო გაეძლიერებინა ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპანსიის პროცესი და ის ლიტერატურაშიც საკმაოდ ვრცელი კვლევების სახითაა წარმოდგენილი. მათ შორის უკიდურესად გაიზარდა (რაოდენობრივად და ხარისხობრივად) პროდუქტიული ძალები და

საწარმოო ურთიერთობები. ამ პერიოდამდე პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების უთანასწორობა ცალკეულ ფილიალებს კი არა, არამედ მთელს ეკონომიკურ სფეროს მოიცავდა (И.В. Давиденко 2016).

სტრუქტურული კრიზისის შედეგია ურთიერთობების მთელი სისტემის რესტრუქტურიზაცია და ცვლილება. მაგ: მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სამშენებლო, სატრანსპორტო. განვითარებულ ქვეყნების მომსახურების სექტორში ღრმა სტრუქტურულმა კრიზისმა განსაკუთრებული ცვლილებები მოახდინა: საავტომობილო, მეტალურგიულ და ქვანახშირის მრეწველობაში, ასევე გემთმშენებლობისა და სხვა მნიშვნელოვან ინდუსტრიებში. რესტრუქტურიზაცია მოითხოვს ახალი ტექნოლოგიების დაუფლებას და ინოვაციების სწრაფად ათვისებას. რესტრუქტურიზაციის პროცესი საკმაოდ ძლიერია, რაც დროთა განმავლობაში იწვევს ეკონომიკის ტემპის შენელებას, როგორც ინდივიდუალურ ასევე უფრო ვრცელ სექტორებში. ეს ტენდენცია თანამედროვე ეტაპზეც გრძელდება.

გლობალიზაციამ უზრუნველყო ის, რომ სტრუქტურულმა კრიზისმა განაპირობა ტრანსნაციონალიზაციის ზრდა და მთლიანობაში მოახდინა შიდა დანაკარგების კონპენსაცია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენებს გააჩნიათ უარყოფითი ზეგავლენები, ისინი მაინც მნიშვნელოვანნი არიან, რადგან უზრუნველყოფენ ქვეყნებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ახალ და განვითარებად ბაზრებზე პოზიციების დამკვიდრებას და მომავალში მათ შენარჩუნებას.

მესამე საგარეო ეკონომიკური პროცეს, რომელიც დაკავშირებულია ტრანსნაციონალურ ექსპანსიასთან წარმოადგენს თანამედროვე მონოპოლიების მრავალდარგობრივი სტრუქტურა, მათი საქმიანობის დივერსიფიკაცია, მოყვანილი პროცესების მასშტაბებზე და ტემპებზე მოწმობს შემდეგი მაჩვენებლები: დაწყებული 1949 წლიდან 1969 წლამდე აშშ-ის უმსხვილეს 500 კორპორაციათა სიაში ერთ დარგიანთა რიცხვი 34.5%-დან შემცირდა 6.2%-მდე. 1970 წლისათვის დიდი ბრიტანეთის 100 უმსხვილეს მონოპოლიებს შორის მხოლოდ 6% საქმიანობდა ერთ

დარგში, გფრ-ში კორპორაციების 22%, საფრანგეთში-16, იტალიაში 5% (И.В. Давиденко, 2016). XX-ე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში 200-ს კორპორაციას აშშ-ში გააჩნდა საწარმოო სიმძლავრეები 22 სხვადასხვა ქვედარგში, ხოლო მათგან 33 ოპერირებდა 80 ქვედარგში (Н.П. Фигурнова 2005).

ტრანსნაციონალიზაციამ უზრუნველყო სხვადასხვა ფორმის კორპორაციების ჩამოყალიბება. საერთაშორისო ექსპანსიის დახმარებით შესაძლებელი გახდა ტრადიციული წარმოების პროცესების ზრდა. უცხო ქვეყნებში არსებული შვილობილი კომპანიები ძირითადად სპეციალიზირდებიან საკვანძო პროდუქციაზე და მათ გამოშვებაზე. შიდა წარმოების პროცესში მონოპოლიის დროს ხშირად გამოიყენება დივერსიფიკაცია - სხვა წარმოებაში შეღწევა.

ძველი და ახალი თაობის ტრანსნაციონალური კორპორაციების საერთო გარემოება არის ის, რომ მათი დროისთვის ორივე წარმოადგენს პოტენციურ გიგანტურ ეკონომიკურ ძალას, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოხედვის პროცესს ხდის უფრო ეფექტიანს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტრანსნაციონალური კორპორაციების ძირითადი საქმიანობის უფრო კარგი მაჩვენებელია, ის კარგად ასახავს მათ მნიშვნელობას. თანამედროვე პირობებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობას და აუცილებლობას მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში XXI-ე საუკუნეში ადასტურებს შემდეგი ფაქტები (Е.П. Пузакова, 2001):

- უცხოური ფილიალების რაოდენობაა დაახლოებით 65 ათასი, ტრანსნაციონალური კორპორაციები ქმნიან 53 მილიონ სამუშაო ადგილს;
- გლობალური, დაგროვილი უცხოური ინვესტიციები დაფინანსების ყველაზე დიდი წყაროა, განვითარებადი ქვეყნების გარე დაფინანსება 7 ტრილიონ დოლარს აჭარბებს;
- განვითარებადი ქვეყნების წილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან იყო მათი მშპ-ს მესამედი;

- მსოფლიო ვაჭრობის ერთი მესამედი მომდინარეობს ფირმების შიგნით (ფილიალებს შორის და მშობელ კომპანიას შორის).

ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპანსიაზე ასევე მიუთითებს წლიური გაყიდვებისა და მოგების დინამიკის ზრდა. ეს მაჩვენებლები საშუალებას იძლევა შევაფასოთ მათი საქმიანობა საზღვარგარეთის სამომხმარებლო ბაზრებზე. თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციები არის იმის ნათელი მტკიცებულება, რომ წარმოებისა და კაპიტალის მასშტაბები დიდი ხანია გავიდა საზღვრებს გარეთ, მან უკვე მიიღო გლობალური სისტემის სახე. ერთის მხრივ ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპანსია უზრუნველყოფს შინაგანი იმპულსების და სტიმულის ზრდას მწარმოებელ და მიმღებ ქვეყნებში. ხელს უწყობს შრომის სპეციალიზაციასა და თანამშრომლობას, მეორეს მხრივ შესაძლებელია უარყოფითი პროცესებიც შეიძლება წარმოიქმნას წარმოებისას.

ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ გლობალიზაციური პროცესების განვითარების მამოძრავებელ ფაქტორს. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ მათი საქმიანობის მასშტაბები, გეოგრაფიული და დარგობრივი ორიენტაცია განაპირობებს საერთაშორისო საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსების შექმნას. საწარმოო პროცესების ინტერნაციონალიზაცია დაკავშირებულია იმასთან, რომ საბოლოო პროდუქტი იქმნება სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიაზე და არა ერთ ქვეყანაში. ყოველივე ეს განპირობებულია მზა პროდუქციისა და ტექნოლოგიური გადამუშავების ხარისხით. აღნიშნული ფაქტორი ეფუძნება კონკურენტულ უპირატესობებს, რომლებიც უნდა იქნენ გათვალისწინებულნი პროდუქციის წარმოების პროცესში.

თანამედროვე კორპორაციებისთვის მნიშვნელოვანია საინვესტიციო შესაძლებლობების გააქტიურება, რომელსაც თან სდევს ინოვაციები და ტექნოლოგიური გაუმჯობესება. გარდა ამისა ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ ინვესტიციების ძირითად ექსპორტიორებს. უმაღლესი ეშელონის 500 ტრანსნაციონალურ კორპორაციას დიდი გავლენა აქვს, მაგრამ მათი

შემადგენლობა მნიშვნელოვნად იცვლება კონკურენციის ზემოქმედებით გლობალურ ბაზრებზე. გლობალურ ბაზარზე ევოლუციური პროცესების ახალ ეტაპს წარმოადგენს მრავალეროვნული კორპორაციების რიცხვის ზრდა და მათი აღორძინება, რომლებიც ადაპტირებულნი არიან ადგილობრივი ბაზრების სპეციფიკაზე. კონკურენტული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ყალიბდება საერთაშორისო პრაქტიკა კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის შესახებ.

ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა განვითარებადი ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრების განვითარებასა და უსაფრთხოებაზე არაერთგვაროვანია, მას გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა. ერთის მხრივ, ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ ეკონომიკის სტრუქტურების ჩამომყალიბებელ ძირითად რგოლს, ქვეყნის განვითარების და წარმოების ეფექტიანობის ზრდის მამოძრავებელ ძალას. ხოლო მეორეს მხრივ, ისინი გამოდიან რიგი ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გენერატორად, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მისი საქმიანობის მოტივებთან. ხდება განვითარებადი სამომხმარებლო ბაზრების გაჯერება სამომხმარებლო პროდუქციითა და მომსახურებით, კონკურენციის ჩამომყალიბებელი ფაქტორების განახლება, საქონელმწარმოებლების საქმიანობის სტიმულირება, მომხმარებლისთვის, ნედლეულის წყაროებისათვის და რეალიზაციის პირობებისათვის ბრძოლის გამწვავება.

მაგრამ ევოლუციის ძირითად ვექტორსა და მიმართულებას წარმოადგენს ის, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები ახდენენ მდგრადი ეკონომიკური კავშირების დეტერმინირებას სხვადასხვა ქვესისტემებსა და სახელმწიფოებს შორის, რის გამოც ხდება ცალკეული ეროვნული ეკონომიკების გაერთიანება ერთ გლობალურ მეურნეობაში. მსოფლიო განვითარების ტრენდი ხასიათდება წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის გაძლიერებით, როგორც წარმოების მიკრო დონეზე, ასევე ტრანსნაციონალური კორპორაციების მეგა დონეზე.

თავი 2. ტრანსნაციონალური კორპორაციები და მათი გავლენა სამომხმარებლო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობაზე

2.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების ტიპები, მართვის სტრუქტურა და თავისებურებანი

თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციებმა, საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო გაცვლასთან ერთად, შექმნეს საწარმოო და ფინანსური სფერო, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ლოკალური საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გარდაქმნას გლობალურში. თავისი ტრანსნაციონალური სტრუქტურის გამო მათ შეუძლიათ მიიღონ მოგება საქმიან ციკლში განსხვავებებიდან, ეკონომიკური პოლიტიკიდან, საგადასახადო და საბაჟო გადასახადების დონეთა სხვაობიდან, ინფლაციის ტემპებიდან, შრომის ანაზღაურების განაკვეთებიდან, მოთხოვნის ნომენკლატურიდან და ა.შ.

ტრანსნაციონალური კორპორაციები განსხვავდებიან ორგანიზაციის ტიპების, მათი საქმიანობის და დარგობრივი კუთვნილების მიხედვით. თანამედროვე ეტაპზე ასხვავებენ ტრანსნაციონალური კორპორაციების შემდეგ ტიპებს (Ю.А. Голикова 2017):

- ჰორიზონტალურ ინტეგრალური კორპორაციები საწარმოებით, რომლებიც უშვებენ პროდუქციის დიდ ნაწილს (მაგალითად ავტომობილების წარმოება აშშ-ში ან „Fast Food“-ის საწარმოების ქსელი).
- ვერტიკალური ინტეგრალური საწარმოები, რომლებიც ერთი მესაკუთრის ხელში და ერთიანი კონტროლის ქვეშ აერთიანებენ საბოლოო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან სფეროებს. კერძოდ, ნავთობმოპოვება ხშირად წარმოებს ერთ ქვეყანაში, რაფინირება მეორეში, ხოლო ნავთობპროდუქტების რეალიზაცია ხდება მესამე ქვეყანაში;
- დივერსიფიცირებული ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლთა შემადგენლობაში შედიან ეროვნული საწარმოები ვერტიკალური და

ჰორიზონტალური ინტეგრაციით. ასეთი ტიპის კორპორაციების ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს შვეიცარიული კორპორაცია „Nestle“, რომელსაც თავისი წარმოების 95% განთავსებული აქვს საზღვარგარეთ და საქმიანობს რესტორნის ბიზნესში, აწარმოებს საკვებ პროდუქციას, ახორციელებს კოსმეტიკის რეალიზაციას და ა.შ. ასეთი კორპორაციების რაოდენობა ბოლო წლებში სწრაფად იზრდება.

თანამედროვე ეტაპზე გაეროს მონაცემების მიხედვით ტრანსნაციონალური კორპორაციების რაოდენობა 2018 წელს 40000 აჭარბებდა. მათი შვილობილი კომპანიები კი 200000-ს. თანამშრომელთა რაოდენობა 73000-ს (А. В. Белоусова 2018).

ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით ტრანსნაციონალური კორპორაციები, როგორც წესი, წარმოადგენენ მრავალდარგობრივ კონცერნებს. სათაო კომპანია გვევლინება კორპორაციის ოპერატიულ შტაბად. ფართომასშტაბიანი სპეციალიზაციისა და კოოპერაციის ბაზაზე იგი ახორციელებს ტექნიკურ-ეკონომიკურ პოლიტიკას და შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების საქმიანობის კონტროლს.

ამჟამად, კლასიკური წრფივი-ფუნქციონალური სტრუქტურა დამახასიათებელია მხოლოდ წვრილი და საშუალო კომპანიებისათვის. ისინი იშვიათად გამოიყენებიან ტრანსნაციონალური კორპორაციების დონეზე, ხშირად მათ იყენებენ თავისი ქვეგანყოფილებებისათვის საზღვარგარეთ. მსხვილ კორპორაციებში დომინირებს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების აგების დივიზიონური მიდგომა.

მართვის დივიზიონური სტრუქტურები წარმოიშვა, როგორც რეაქცია წრფივ-ფუნქციონალურ სტრუქტურის ნაკლოვანებებზე. მათი რეორგანიზაციის აუცილებლობა გამოიწვია ტრანსნაციონალური კორპორაციების ზომის მკვეთრმა ზრდამ, ტექნოლოგიური პროცესების გართულებამ, მათი საქმიანობის დივერსიფიკაციამ და ინტერნაციონალიზაციამ. დინამიურად ცვლად გარემო

პირობებში შეუძლებელი იყო არამსგავსი და გეოგრაფიულად დაცილებული ქვეგანყოფილებების ერთი ცენტრიდან მართვა.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის სტრუქტურის ფორმირება განყოფილებების (დივიზიონების) მიხედვით, როგორც წესი, ხდება სამი პრინციპიდან ერთ-ერთის მიხედვით, ესენია: პროდუქტიული - გამოშვებული პროდუქციის ან მიწოდებული მომსახურების თავისებურებების გათვალისწინებით; კონკრეტულ მომხმარებელზე ორიენტირებული და რეგიონალური - იმ ტერიტორიებზე დამოკიდებული, რომელსაც ემსახურება კორპორაცია. აქედან გამომდინარე გამოყოფენ ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის დივიზიონური სტრუქტურის სამ ტიპს:

- დივიზიონურ-პროდუქტიული სტრუქტურები;
- ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მომხმარებელზე;
- დივიზიონურ-რეგიონალური სტრუქტურები.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის დივიზიონურ-პროდუქტიული სტრუქტურებს დროს რომელიმე კონკრეტული პროდუქციის წარმოების ან მომსახურების მართვის უფლებამოსილება გადაეცემა ერთ პიროვნებას, რომელიც არის პასუხისმგებელი აღნიშნული სახის პროდუქციაზე. ფუნქციონალური სამსახურების ხელმძღვანელებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ მართველს, რომელიც პასუხისმგებელია ამ კონკრეტულ პროდუქტზე.

კორპორაციას ასეთი სტრუქტურით უნარი შესწევს სწრაფად მოახდინოს რეაქცია კონკურენციის პირობების, ტექნოლოგიის და სამომხმარებლო მოთხოვნილების ცვლაზე. განსაზღვრული სახის პროდუქციის წარმოებას ხელმძღვანელობს ერთი ადამიანი და ამიტომ სამუშაოების კოორდინაცია უმჯობესდება.



ნახ. 2.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის დივიზიონურ-პროდუქტიული სტრუქტურა (А.Л. Ересько, А.Н. Яндовский 2017)

დივიზიონურ-პროდუქტიული მართვის სტრუქტურის შესაძლო ნაკლოვანებაა - დანახარჯების ზრდა, სხვადასხვა სახის პროდუქციისათვის, ერთი და იგივე სამუშაოების დუბლირებაზე. რადგან ყოველ პროდუქტიულ განყოფილებაში იქმნება თავისი ფუნქციონალური ქვეგანყოფილებები.

მომხმარებელზე ორიენტირებული ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნისას, ხდება ქვეგანყოფილებების დაჯგუფება მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფის ირგვლივ (მაგალითად, ჯარი და სამოქალაქო დარგები, საწარმოო-ტექნიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო

დანიშნულების პროდუქცია). ასეთი ორგანიზაციული სტრუქტურის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ დააკმაყოფილონ კონკრეტული მომხმარებელთა ჯგუფის მოთხოვნილებები ისევე კარგად, როგორც ამას გააკეთებდა კომპანია, რომელიც მოემსახურებოდა მხოლოდ ერთ ჯგუფს. ასეთი ორგანიზაციული სტრუქტურის მაგალითს წარმოადგენს ტრანსნაციონალური ბანკები (И. Г. Владимирова 2017).

როგორც ვიცით ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა ვრცელდება მსოფლიოს რამდენიმე რეგიონზე, რომლებშიც საჭიროა სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება, ამიტომ მიზანშეწონილია მართვის დივიზიონური სტრუქტურის ფორმირება ტერიტორიული პრინციპით, ე.ი. დივიზიონურ-რეგიონალური სტრუქტურის გამოყენება (იხ. ნახ. 2.2).



ნახ. 2.2. ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის დივიზიონურ-რეგიონალური ორგანიზაციული სტრუქტურა (И. Г. Владимирова 2017)

განსაზღვრულ რეგიონში კორპორაციის მთელი საქმიანობა ამ შემთხვევაში უნდა ექვემდებარებოდეს შესაბამის ხელმძღვანელს, რომელიც აგებს პასუხს მის ფუნქციონირებაზე ტრანსნაციონალური კორპორაციის ხელმძღვანელობასთან. დივიზიონურ-რეგიონალური სტრუქტურა აიოლებს ადგილობრივ წეს-ჩვეულებებთან, კანონმდებლობის თავისებურებებთან და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას.

ტერიტორიული დაყოფა ქმნის პირობებს განყოფილების (დივიზიონის) მმართველობითი პერსონალის მომზადებისათვის ადგილებზე.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის დივიზიონურ ორგანიზაციულ სტრუქტურას აქვს შემდეგი უპირატესობები:

- დივიზიონური სტრუქტურების გამოყენება საშუალებას აძლევს ტრანსნაციონალურ კორპორაციას დაუთმოს კონკრეტულ პროდუქციას, მომხმარებელს ან გეოგრაფიულ რეგიონს იმდენივე ყურადღება, რასაც უთმობს საშუალო ზომის სპეციალიზებული კომპანია.
- ორგანიზაციული სტრუქტურის ეს სახე იძლევა კორპორაციის საქმიანობის საბოლოო შედეგების მიღწევის საშუალებას.
- მისი საშუალებით ხდება კორპორაციის მართვის მაღალი რგოლისათვის სამუშაოს სირთულის შემცირება.
- ხდება ოპერატიული მართვის სტრატეგიულიდან გამოყოფა, რის შედეგადაც ტრანსნაციონალური კორპორაციის უმაღლესი ხელმძღვანელობა ახდენს კონცენტრაციას სტრატეგიულ დაგეგმვასა და მართვაზე.
- ხდება მოგებაზე პასუხისმგებლობის დივიზიონის ხელმძღვანელებზე გადატანა.
- უმჯობესდება კომუნიკაცია.

ხოლო, ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის დივიზიონურ ორგანიზაციულ სტრუქტურას აქვს შემდეგი ნაკლოვანებები:

- დივიზიონურმა სტრუქტურებმა გამოიწვიეს იერარქიულების ზრდა.
- მრავალდონიან იერარქიაში სხვადსხვა განყოფილებების მიზნების განსხვავება კორპორაციის საერთო მიზნებისაგან.
- სხვადასხვა განყოფილებებს (დივიზიონებს) შორის კონფლიქტების წარმოშობის შესაძლებლობა.
- განყოფილებების საქმიანობის კოორდინაციის დაბალი დონე.

- რესურსების არაეფექტიანი გამოყენება, მათი სრულად გამოყენების შეუძლებლობა, რომელიც დაკავშირებულია რესურსების კონკრეტულ ქვეგანყოფილებებზე მიმაგრებასთან.
- მართველობით აპარატზე გაწეული ხარჯების გაზრდა მართველობითი ფუნქციების დუბლირების გამო.
- ზემოდან ქვემოთ კონტროლის განხორციელების სირთულე.
- მრავალდონიანი იერარქია თვით განყოფილებების შიგნით.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციების თავისებურებას წარმოადგენს მათ მიერ გატარებული „ორმაგი სტანდარტი“: ერთის მხრივ, ტრანსნაციონალური კორპორაციები სისხლხორცეულად დაინტერესებულნი არიან მსოფლიოს ეკონიმიკური სივრცის შემდგომ ლიბერალიზაციასა და დემოკრატიზაციაში, ხოლო მეორეს მხრივ თავისუფალი ბაზრის კანონები, რომელიც მოქმედებს გლობალურ მასშტაბში, არ მუშაობენ ტრანსნაციონალური კორპორაციების შიგნით, სადაც ფაქტიურად მათ მიერ და არა ბაზრის მიერ, ხდება მეურნეობის გეგმიური მართვა, დგინდება შიდა ფასები, განისაზღვრება კორპორაციის სტრატეგია. აღნიშნული წინააღმდეგობა დამახასიათებელია გლობალური პროცესებისათვისაც, რომელთა მამოძრავებელ ძალას ერთის მხრივ წარმოადგენს ლიბერალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, ხოლო მეორეს მხრივ, ეკონომიკური გავლენების სფეროების გადანაწილების და მსოფლიოში ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარების სურვილი.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მათი წარმოშობის სახელმწიფოებთან. როგორც წესი, წამყვანი ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოშობის ქვეყნების მიზნებს აქვთ მკვეთრად გამოხატული ნაციონალისტურ-ეგოისტური შეფერილობა, კერძოდ თავისი მოქალაქეებისათვის ცხოვრების მაღალი დონის შექმნა და თავისი სახელმწიფოს ავტორიტეტის ამაღლება მსოფლიო არენაზე. აღნიშნული სიტუაცია ხელს უწყობს ცალმხრივი გლობალიზმის შექმნას, რომლის ინტერპრეტირება ამ

ქვეყნების მიერ ხდება თავისი ინტერესების შესაბამისად. მაგრამ, გლობალიზაციის განვითარების ყოველ ახალ უფრო მაღალ დონეზე გადასვლისას სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებამ, საბოლოო ჯამში, უნდა დაიყვანოს ნულზე ზოგიერთი სახელმწიფოს განზრახვა დაამყაროს ახალი ეკონომიკური წესრიგი, რომელიც უპასუხებს მათ იმპერიულ ამბიციებს.

ცალკეული სახელმწიფოების მიერ თავიანთი მიზნების მიღწევისას მათსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის წარმოიშვება წინააღმდეგობები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სათბობის, ნედლეულისა და შრომითი რესურსების შეზღუდვებთან. ამასთან განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს რეალიზაციის ბაზრებისათვის გლობალური კონკურენცია. ამრიგად, გლობალური ეკონომიკა ხდება სახელმწიფოთაშორის ეკონომიკური კონფლიქტების არენა, საიდანაც შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ სახელმწიფოთა ფუნდამენტალური ინტერესები და მათ ტერიტორიაზე ბაზირებული ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესები ობიექტურად იმთხვევა ერთმანეთს, ვინაიდან ტრანსნაციონალური კორპორაციები უფლებას აძლევენ, მათი ბაზირების, სახელმწიფოებს მიიღონ დაშვება სხვა ქვეყნის რესურსებთან. ამას გარდა, საზღვარგარეთ თავიანთი წარმოებების განთავსებით ტრანსნაციონალური კორპორაციები საშუალებას აძლევენ სახელმწიფოებს თავი აარიდონ პროტექციონისტულ ბარიერებს, მათი მიღების შემთხვევაში.

ტრანსნაციონალური კორპორაციები ამაგრებენ თავიანთი სახელმწიფოების პოზიციებს, ქმნიან რა თავისი საკუთრების ანკლავებს ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების სახით. საზღვარგარეთ საკუთრების ასეთი სისტემა უზრუნველყოფს სახელმწიფოს რეალურ საერთაშორისო გავლენას. ამასთან ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური სიმძლავრის ზრდა იწვევს კორპორაციის გლობალური პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას მსოფლიო არენაზე და შესაბამისად სუსტდება სახელმწიფოთა მთავრობების პოლიტიკური ძალაუფლება. ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელობა საერთაშორისო

წარმოებაში, ვაჭრობაში, ფინანსებში და სხვა მრავალ სფეროში განუწყვეტლივ იზრდება. მსოფლიო სამეურნეო სისტემის ბირთვს შეადგენს დაახლოებით ასი ტრანსნაციონალური კორპორაცია, რომლებმაც თავის ხელში მოაქციეს პრაქტიკულად განუსაზღვრელი ეკონომიკური ძალაუფლება.

ტრანსნაციონალური კორპორაციების პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა გახდა ისეთი ძლიერი, რომ უახლოეს პერიოდში ისინი დარჩებიან განვითარებული ქვეყნების, მსოფლიოს მრავალ რეგიონზე, ზემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად.

2.2. ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების ეტაპები

თავისი განვითარების პროცესში თანამედროვე ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა განიცადეს რამდენიმე ევოლუციური ტრანსფორმაცია, რომლებიც პირობითად შეგვიძლია დავყოთ შემდეგ ეტაპებად:

ტნკ-ების პირველი თაობა - მე XX-ე საუკუნის 20-ან წლებამდე (კოლონიალურ-სანედლეულო). მაგალითად British Petroleum (1909 წელი) და United States Steel Corporation (1904 წელი). მათი მართვის სტრუქტურის თავისებურებები განისაზღვრებოდა ფორმირებისა და განვითარების ისტორიული პირობებით და ატარებდა ისეთი საწარმოს ტიპს, რომელიც ჩამოყალიბდა კომპანიების განვითარების ადრეულ საფეხურზე. ასე, მაგალითად ამერიკული კომპანიები თავისი განვითარების ადრეულ სტადიაზე იქმნებოდნენ ტრესტების ფორმით. ამიტომ მათ კომპანიებში, როგორებიც იყო: „General Motors“-ი, „Chrysler“-ი, Ford Motor Company და სხვა, სამრეწველო საწარმოებს, რომლებიც შედიოდნენ საწარმოო განყოფილებებში, წართმეული ჰქონდათ ყოველგვარი დამოუკიდებლობა. ასეთი საწარმოების დირექტორები ექვემდებარებოდნენ საწარმოო განყოფილებების ხელმძღვანელობის განკარგულებებს, რომლებშიც ისინი შედიოდნენ. თავიანთი სტრატეგიების ტრანსფორმირების ადაპტაციას ახდენდნენ მიმღები ქვეყნების ადგილობრივ პირობებთან (В.В. Побирченко, Г.В. Сазонова 2017).

ტნკ-ს განვითარების მეორე ეტაპი შეგვიძლია აღვნიშნოთ, როგორც პერიოდი ორ მსოფლიო ომს შორის (1918-1939 წლები). ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია უკიდურესი ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელიც გამოისახა კონკრეტულ გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ, ფინანსურ და სტრუქტურულ კრიზისებში. ამ პირობებში ეკონომიკურად გაძლიერებული ტრანსნაციონალური კორპორაციები ეძებდნენ ახალ ხერხებს თავიანთი მიზნების მისაღწევად, და უკვე XX-ე საუკუნის 20-ანი წლების მეორე ნახევარში მათ სტრატეგიაში გაჩნდა ახალი მეთოდი, რომელიც ახდენდა ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული ექსპანსიის სტრატეგიის მოდერნიზაციას - სამრეწველო კაპიტალის გატანას. ამ მხრივ განსაკუთრებით წარმატებას მიაღწიეს ფინანსურად და ტექნიკურად მძლავრმა აშშ-ის მონოპოლიებმა. მეორე ეტაპის განმავლობაში საზღვარგარეთ განთავსებული კაპიტალის მოცულობა გაიზარდა სამჯერ, ხოლო საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა შემცირდა თითქმის 2,5-ჯერ. თავისი განვითარების მეორე ეტაპზე ტრანსნაციონალური კორპორაციები ფართოდ იყენებდნენ შერწყმისა და შთანთქმის სტრატეგიებს (Т,А. Короткова 2018).

ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების მესამე ეტაპი (სამხედრო-ტექნიკური) მოიცავს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს 1960-იან წლებამდე. წინა საუკუნის 50-60-ანი წლებში აღინიშნებოდა საშუალო და მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების აქტიური გადასვლა მართვის დივიზიონალურ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, რომელმაც ნახა ფართო გავრცელება აშშ-ში და სხვა წამყვან განვითარებულ ქვეყნებში. საწარმოო განყოფილებებზე გადასვლამ ხელი შეუწყო სპეციალიზაციის განვითარებასა და წარმოების გაფართოებას (Ш. М. Адам 2017).

ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების მეოთხე ეტაპი (მეცნიერულ-ტექნიკური) მოიცავს წინა საუკუნის 70-80-იან წლებს. ამ პერიოდში წარმოიშვა ინოვაციური ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთა სტრატეგია ფორმირდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით, მაგალითად

ისეთები, როგორებიც იყვნენ: Seiko, Citizen, Electrolux და ა.შ. სტრატეგიის ტრანსფორმაციის ტიპიურ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კომპანია Motorola. მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, საბაზრო პირობებიდან გამომდინარე, იგი ირჩევდა წარმოების მიმართულებას. მან დაიწყო ავტომობილის რადიომიმღებებით, შემდეგ გადავიდა ტელევიზორების გამოშვებაზე, სამომხმარებლო ელექტრონიკასა და ნახევარგამტარებზე, და ბოლოს გახდა კორპორაცია, რომლიც ორიენტირებულია პერსონალური კომპიუტერების, მობილური სისტემებისა და პეიჯერების გამოშვებაზე. ყოველი გადასვლა დაკავშირებული იყო არა მხოლოდ სწრაფად მზარდი ბაზრების ახალ შესაძლებლობებზე, არამედ თვით კომპანიის ცვლილებაზე. 80-იან წლებში მართვის მარტიცული ფორმა დანერგეს ისეთმა კომპანიებმა, როგორებიც იყო: IBM, General Electric Company, Unilever, TVR, Hughes Aircraft, 3M და მრავალი სხვა (С.Ф. Зорин 2017).

მეხუთე ეტაპი აღინიშნება გლობალური ტრანსნაციონალური კორპორაციების ფორმირებით (წინა საუკუნის 90-იანი წლები). ასეთი გლობალური ტრანსნაციონალური კორპორაციების მაგალითებია: IBM, Toyota Motor Corporation, სასტუმროების ქსელები Hilton, Sheraton, Holiday და მრავალი სხვა. გლობალურმა კორპორაციებმა აირჩიეს ახალი სტრატეგია, რომელშიც ძირითადი კონკურენციის ჩამომყალიბებელი ფაქტორები გახდნენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და ინტეგრალური მწარმოებლურობის ამაღლება. ამან განაპირობა მართვის პროგრამულ-მიზნობრივ სტრუქტურაზე გადასვლა (С.В. Карпова 2011).

თანამედროვე მეექვსე თაობის ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენს - ტრანსნაციონალურ სტრატეგიულ ალიანსებსა და ქსელებს, მათი მიეკუთვნებიან: Shell, Exxon, BP, Boeing და ა.შ. თანამედროვე ეტაპზე ფინანსურ-საწარმოო კორპორაციები ფუნქციონირებენ პრაქტიკულად მსოფლიო მეურნეობის ყველა მნიშვნელოვან დარგში: საბანკო და საფინანსო სფეროებში, ვაჭრობაში, მრეწველობაში, ტრანსპორტში და ა.შ. ეს არ ხდება შემთხვევით, ვინაიდან პრაქტიკით დადგენილია, რომ ფინანსური კაპიტალის ორგანიზების ჰოლდინგური

ფორმა არის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი, ეფექტიანი და მოქნილი (И.С. Величко 2017).

ტრანსნაციონალური კორპორაციების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება საერთაშორისო სტრატეგიული ალიანსებისა და მრავალეროვნული კომპანიების ჩარჩოებში. მსოფლიოში ყალიბდება სრულიად ახალი სახის ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც პირველ რიგში ორიენტირებულნი არიან მომსახურებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროებში საქმიანობაზე. ხდება „ჰორიზონტალური კორპორაციების“ ფორმირება, რომელთა სპეციფიკა მდგომარეობს იერარქიის შეზღუდვაში და ზოგ შემთხვევაში მათზე საერთოდ უარის თქმაში. მაგალითად კორპორაცია AT&T-მა განახორციელა 10-15 კაციანი ავტონომიური ჯგუფების ფორმირება და შეამცირა საბაზოსო პროცესების რიცხვი 130-დან 13-მდე. ხოლო კორპორაცია General Electric-ი, 2000 წლიდან დღემდე, ინარჩუნებს 100-მდე საბაზისო პროცეს, რომელთა ჩარჩოებში ფუნქციონირებს 9-12 კაციანი ჯგუფები (А. Мовсесян, А. Либман 2019).

2.3. ტრანსნაციონალური კორპორაციების საგარეო ეკონომიკური ექსპანსია საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე, როგორც განვითარების ობიექტური ფაქტორი

ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა მიმღები ქვეყნების სამომხმარებლო ბაზარზე ძალიან მრავალმხრივია და ყოველთვის არ არის დადებითი. ეს გამოწვეულია იმით, რომ მიმღები ქვეყნებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების დამოკიდებულება რთულია, რაც განპირობებულია მათი სხვადასხვა ინტერესებით, ასევე ძალაუფლების ასიმეტრიით. როგორც წესი, ტრანსნაციონალური კორპორაციები ეკონომიკურად ბევრად ძლიერნი არიან, ვიდრე უმეტესი მიმღები ქვეყანა. ისინი ხშირად იყენებენ თავის სიძლიერეს, რათა მოახდინონ ზეწოლა ადგილობრივ ხელისუფლებაზე და

აიძულებენ მას შეამციროს საგადასახადო ვალდებულებების მოცულობა, ან მიიღონ განსაკუთრებული შეღავათები საფინანსო სფეროში და ა.შ. საპასუხოთ ბევრი ქვეყანა იღებს სხვადასხვა სახის აკრძალვებსა და შეზღუდვებს, რათა დაიცვან ეროვნული სამომხმარებლო ბაზარი ტრანსნაციონალური კორპორაციების შეუზღუდავი ექსპანსიისაგან.

მაგრამ უმეტეს შემთხვევაში (განსაკუთრებით ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან ურთიერთობის განვითარების მიზნობრივ პროგრამის არსებობის შემთხვევაში) მიმღები ქვეყანა იგებს ტრანსნაციონალური კომპანიების ქვეყანაში შემოსვლით. ტრანსნაციონალური კორპორაციების საშუალებით უცხოური კაპიტალის ფართო მოზიდვა ხელს უწყობს ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებას. იმ პროდუქციის, რომელიც ადრე შემოდიოდა იმპორტზე, წარმოების ორგანიზება ქვეყანაში ზრდის შემოსავლებს სახელმწიფო ბიუჯეტში და აუმჯობესებს სოციალურ ფონს. კომპანიები, რომლებიც უშვებენ კონკურენტუნარიან პროდუქციას და ორიენტირებულნი არიან ექსპორტზე, განსაკუთრებით უწყობენ ხელს ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოზიციების განმტკიცებას და მის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას მსოფლიო მეურნეობრივ სისტემაში ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში.

ჩვენს ქვეყანაში ტრანსნაციონალური კორპორაციების ყოფნის დადებითი ეფექტი პირველ რიგში განპირობებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებით. საინვესტიციო კაპიტალის შემოდინების ზრდა ხელს უწყობს ეროვნული მრეწველობის მოდერნიზაციას, ექსპორტის ინტენსიფიკაციას და მთლიანობაში ეროვნული სამომხმარებლო ბაზრების განვითარებას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით შემოდინებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობები ცვალებად ხასიათს ატარებს. წლების მიხედვით დინამიკა მოცემულია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 2.1) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019).



	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მილ.აშშ. დოლარი	1022.9	1020.5	1817.7	1665.6	1565.8	1894.5	1232.4

წყარო: დიაგრამა შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 2.1. საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციები 2012-2018 წლებში (მილ. აშშ დოლარი)

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მაღალ ნიშნულს საქართველოში შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მიაღწიეს 2017 წელს, მისი მოცულობა იყო 1894.5 მილ. აშშ დოლარი. საგრძნობლად შემცირდა შემოსული ინვესტიციების მოცულობები 2018 წელს, და მიაღწია ბოლო ხუთი წლის მინიმუმს. ჩვენი აზრით მთავრობამ მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის გაუმჯობესებას.

სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციების შემოდინება ეკონომიკის სექტორების მიხედვით, როგორც დიაგრამიდან ჩანს ყველაზე მეტი ინვესტიცია 22.5% შემოვიდა საფინანსო სექტორში, შემდეგ მას მოყვება 17.0%-ით ტრანსპორტი, ხოლო მესამე ადგილი 12.8%-ით უკავია ენერგეტიკას (იხ. დიაგრამა 2.2) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019).



წყარო: დიაგრამა შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 2.2. პუი ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018 წელს (%-ში)

როგორც დიაგრამიდან ჩანს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად შემოდის საფინანსო სფეროში, ამიტომაც ეროვნული სამომხმარებლო ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, მაგალითად ტრანსპორტში, ენერგეტიკაში, სასტუმროებისა და რესტორნების ქსელის განვითარებაში, სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში. რაც თავის მხრივ გამოიწვევს ტურიზმის სფეროს ახალ საფეხურზე ასვლას, გაზრდის შემოსავლებს სახელმწიფო ბიუჯეტში, შეამცირებს უმუშევრობას, გაფართოვდება და განვითარდება სამომხმარებლო ბაზარი, ყოველივე ეს კი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი გახდება.

თავი 3. ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის ძირითადი ასპექტები

3.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიოს სამომხმარებლო ბაზრების განვითარებაში გლობალიზაციის პირობებში

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის გაფართოების კვალდაკვალ სულ უფრო აქტუალური ხდება საკითხი სამომხმარებლო ბაზრების რეგულირების ინსტიტუციონალური ფორმებისა და მეთოდების შესახებ. რეგულირების სხვადსხვა ხერხები, მეთოდები და ინსტრუმენტები არსებობს, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე.

ამ მიმართებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინვესტიციების რეგულირების კონცეფციების, სტანდარტებისა და პრინციპების შექმნის საერთაშორისო კოორდინაცია. მსოფლიოში იზრდება სპეციალური ორმხრივი ხელშეკრულებები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საკითხების შესახებ, რომელთა საშუალებითაც ხდება უცხოური კომპანია-ინვესტორების შემოსვლა სამომხმარებლო ბაზრებზე და მათი ინტერესების დაცვა. კანონმდებლობებში და ადმინისტრაციულ ნორმებში ასახულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი მნიშვნელობა რეციპიენტი-ქვეყნების ეკონომიკებისათვის და მათი სამომხმარებლო ბაზრების განვითარებისათვის. გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მონაცემებით, მსოფლიოში მთლიანობაში შემცირდა ინვესტიციების მოცულობა. რეგიონების მიხედვით ინვესტიციების მოცულობებზე ნათელ წარმოდგენას იძლევა დიაგრამა (იხ. დიაგრამა 3.1).

როგორც დიაგრამიდან ჩანს საგრძნობლად 2017 წელთან შედარებით 2018 წელს საგრძნობლად შემცირდა მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების

მოცულობა. მისი მოცულობები ძირითადად შემცირდა განვითარებულ ქვეყნებში, სამაგიეროდ გაზრდილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობები განვითარებად ქვეყნებში. განსაკუთრებით შემცირებულია პუის მოცულობები ევროპის ქვეყნებში, მისი მოცულობა 2017 წელს შეადგენდა 272 მილიარდ დოლარს და 2018 წელს შემცირდა 100 მილიარდ დოლარამდე (UNCTAD. 2019).



წყარო: დიაგრამა შედგენილია UNCTAD-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 3.1. პუი-ს მოცულობები რეგიონების მიხედვით 2017-2018 წლებში (მილიარდი დოლარი)

ხოლო ქვეყნების მიხედვით ინვესტიციების მოცულობების მხრივ მსოფლიოს ტოპ-10-ული გამოსახულია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 3.2) (UNCTAD. 2019). როგორც დიაგრამიდან ჩანს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხრივ მსოფლიოში ლიდერია აშშ. იმის მიუხედავად, რომ 2018 წელს ინვესტიციების მოცულობა 277 მილიარდი დოლარიდან (2017 წელი) შემცირდა 226 მილიარდ დოლარამდე. მეორე ადგილი უკავია ჩინეთს სადაც ინვესტიციების მოცულობა 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით გაიზარდა 5 მილიარდი დოლარით და შეადგინა 142

მილიარდი დოლარი, ასევე ზრდა აქვს ამ რეიტინგში მე 3-ე ადგილზე მყოფ დიდ ბრიტანეთს სადაც 2017 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა 21 მილიარდი დოლარით და შეადგინა 122 მილიარდი დოლარი. მნიშვნელოვანი ზრდა 2017 წელთან შედარებით აქვს ესპანეთს, სადაც 19 მილიარდი დოლარიდან, ინვესტიციები 2018 წელს გაიზარდა 70 მილიარდ დოლარამდე.



წყარო: დიაგრამა შედგენილია UNCTAD-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 3.2. ქვეყნების ტოპ 10-ული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხრივ, 2017-2018 წლებში (მილიარდ დოლარებში)

ინსტიტუციონალიზაცია რეგიონულ დონეზე პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობაზე, პუი-ს სფეროში სახელმწიფო პოლიტიკაზე და მოიცავს: უცხოური ინვესტორების ქცევის წესებს, უკანონო გადახდებზე უარის თქმას და შეზღუდვებს საქმიანობაში; ტრანსფერტულ ფასწარმოქმნას; შრომით ურთიერთობებს; ინფორმაციული ხელმისაწვდომობის სფეროში ნორმების დაცვას; ლიბერალიზაციის ფორმებსა და ინვესტიციების დაცვას; ინვესტიციური დავების გადაწყვეტის ხერხებს; გარემოს დაცვით საკითხებსა და ა.შ.

პუის რეგულირების კოორდინაციის ყველაზე მაღალ დონეს წარმოადგენს მრავალმხრივი რეგულაცია. მის ჩარჩოებში განიხილება სპეციფიური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადსხვა ეკონომიკურ სექტორებთან (ინტელექტუალური საკუთრება, მომსახურება, დაზღვევა) ან კორპორაციის ფუნქციონირების კონკრეტულ საკითხებთან: კონკურენციის პოლიტიკას, მათი ექსპანსიის შეფასების კრიტერიუმებს, ინვესტიციურ სტიმულებს, დავების გადაწყვეტას, მომხმარებელთა დაცვას, დასაქმების პოლიტიკას და ქვეყნის შრომითი კანონმდებლობის შესრულებას.

ტრანსნაციონალური კორპორაციების და პირდაპირ უცხოური ინვესტიციების პოლიტიკასთან მიმართებაში სახელმწიფოთაშორისი კოორდინაციის შემდგომი განვითარების გზების ძიება განუწყვეტლივ მიმდინარეობს. ეს საკითხები განიხილება რიგ საერთაშორისო და რეგიონალურ ფორუმებზე, ისეთებზე როგორებიცაა: OPEC-ი, NAFTA, ჩრდილოეთ და ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონები, ევროპის ენერგეტიკული ქართია, ASEAN-ი და ა.შ.

მსოფლიოს სამომხმარებლო ბაზრისა და საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი როლი გამტკიცებულია სპეციალური საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციონირებით, რომლებიც ახდენენ მათ რეგულირებას ზეეროვნულ დონეზე. ესენია: UNCTAD, WTO, FAO, საერთაშორისო სავაჭრო პალატა და ა.შ. მათი ძალისხმევა დაკავშირებულია, წევრი-ქვეყნების მიერ, საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების რეალიზაციის და მათ შესრულებაზე კონტროლის პრინციპების, წესების და პროცედურების შემუშავებასთან.

ნებისმიერი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გლობალური ასპექტი არ შეიძლება არ შეიცავდეს ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის შეზღუდვის სისტემას, რომლებიც აკონტროლებენ სასურსათო რესურსებს, უნდა მოხდეს მათი ბაზრებზე დომინირების რეგულირება, რათა სახელმწიფომ მიაღწიოს თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს. მაგალითად, აგრარულ სფეროში მოღვაწე ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა შეცვალეს თავიანთი სასურსათო

სისტემების მოდელები და ორიენტაცია აიღეს თავიანთი მოთხოვნილებების შესრულებაზე, თავი მოუყარეს რა უზარმაზარ საბაზრო ძალაუფლებას სურსათის ზოგიერთ სახეობაზე (Agricultural Policies in OECD Countries at a glance 2010).

ეროვნულ სამომხმარებლო ბაზრებზე ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის ანალიტიკურმა შეფასებამ გვიჩვენა, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები ვერ ახდენენ საბაზო მიზნების საერთაშორისო სამართლის ნორმების, როგორც მათი ფუნქციონირების საფუძვლის, სამართლიან და რაციონალურ შესრულებას. რაც იწვევს ისეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბების აუცილებლობას, რომელიც მოახდენს მთელი აგროსასურსათო სფეროს კოორდინაციასა და რეგულირებას, ხელს შეუწყობს სასურსათო პრობლემების რეალურ გადაწყვეტას ყველა ქვეყანასა და რეგიონში. მისი წევრები შესაძლოა გახდეს სახელმწიფოები, რომლებიც არა მხოლოდ უზრუნველყოფენ თავიანთ მოთხოვნილებებს სურსათზე, არამედ არიან აგროსამრეწველო დარგის პირდაპირი ექსპორტიორები (OECD-FAO 2019).

ამრიგად, სამომხმარებლო ბაზრის რეგულირება ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპანსიის პირობებში, როგორ ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე თამაშობს მნიშვნელოვან როლს ეროვნული ეკონომიკების განვითარებაში.

3.2. კვლევა: ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაში

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლას საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. ტრანსნაციონალური კორპორაციების აქტიური საწარმოო, საინვესტიციო, ინოვაციური და სავაჭრო საქმიანობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ხანგრძლივვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის კუთხით. აღნიშნული პროცესები მოიცავენ სამომხმარებლო ბაზარსაც, რომლიც გულისხმობს

კონკურენციის წარმომქმნელი მრავალფეროვანი ფაქტორების არსებობას, გასაღების ბაზრებისათვის და ნედლეულის წყაროებისათვის ბრძოლის გამძაფრებას. ტრანსნაციონალური კორპორაციების ეროვნულ სამომხმარებლო ბაზარზე შემოსვლას აქვს, როგორც ბევრი დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები.

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარის განვითარებაში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრისათვის ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა. კვლევა წარმოადგენდა რესპოდენტთა გამოკითხვას. რესპოდენტების შერჩევა მოხდა სტრატიფიცირებული შერჩევის მეთოდით, ხოლო გამოკითხვა განხორციელდა კვლევის რაოდენობრივი მეთოდით (მასობრივი გამოკითხვის მეთოდით). გამოკითხვა განხორციელდა ინტერნეტის მეშვეობით რესპოდენტებმა შეავსეს ჩვენს მიერ შეთავაზებული კითხვარი (იხ. დანართი). გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 87-მა რესპოდენტმა. რომელთაგანაც 38 იყო ქალი, ხოლო 49 კი მამაკაცი. კვლევაში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა ასაკის რესპოდენტები, მათგან 20-დან 30 წლამდე ადამიანები იყო 21%, 30-დან 45 წლამდე 67%, ხოლო 45 წელს ზევით კი 12%.

კითხვაზე: თქვენი აზრით, საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია თუ არა ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლა? რესპოდენტთა 68 %-მა უპასუხა, რომ საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა, 24%-ი არ იყო მათი შემოსვლის მომხრე, ხოლო 8 %-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა (იხ, დიაგრამა 3.3).



დიაგრამა 3.3. თქვენი აზრით, საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია თუ არა ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლა?

კითხვაზე: თქვენი აზრით, რომელი ფაქტორი განაპირობებს ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმატებას საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე? რესპოდენტთა 43.7% ფიქრობს, რომ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმატებას განაპირობებს ერთობლივი საწარმოების შექმნა, 24.1% -ის აზრით კი კლიენტებზე ორიენტირება, 17.2-ის აზრით ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია ბაზარზე ახალი პროდუქციით შემოსვლა, ხოლო 15% -ის აზრით კი შვილობილი კომპანიის დაარსება და ადგილზე პროდუქციის წარმოება (იხ. დიაგრამა 3.4).



დიაგრამა 3.4. თქვენი აზრით, რომელი ფაქტორი განაპირობებს ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმატებას საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე?

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლას აქვს რიგი დადებითი მხარე. ამ მიმართებით დასმულ იქნა კითხვა: თქვენი აზრით, რა დადებით მხარე აქვს საქართველოს სამომხმარებლო ბაზრისათვის ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლას? (იხ. დიგრამა 3.5)



დიაგრამა 3.5. თქვენი აზრით, რა დადებით მხარე აქვს საქართველოს სამომხმარებლო ბაზრისათვის ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლას?

როგორც დიაგრამიდან ჩანს, საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლა, რესპოდენტთა 58.6%-ის აზრით გამოიწვევს მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდას ე.ი. გაიზრდება მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა, 20.7% ფიქრობს, რომ დაიწევს ფასები სამომხმარებლო პროდუქციაზე, ხოლო ასევე 20.7% ვარაუდობს, რომ ამით გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლას საქართველოს სამომხმარებ-ლო ბაზარზე აქვს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეც, მათ შორის რესპოდენტთა აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია საშიშროება, რომელიც შეიძლება შეექმნას ერის თვითმყოფადობას, ეს აზრი გამოთქვა რესპოდენტთა 28.7%-მა. 27.6%-მა განაცხადა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარე შესაძლოა გახდეს ადგილობრივი წარმოების შემცირება, 23%-ის აზრით მოხდება დიდი რაოდენობის ვალუტის ქვეყნიდან გადინება, ხოლო 20.7%-ი ფიქრობს, რომ შესაძლოა საშიშროება შეექმნას ქვეყნის რეალურ დამოუკიდებლობას (იხ. დიაგრამა 3.6).



დიაგრამა 3.6. თქვენი აზრით, ტრანსნაციონალური კორპორაციების საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე შემოსვლის, რომელი უარყოფითი მხარე შეიძლება გახდეს ყველაზე მნიშვნელოვანი?

სამომხმარებლო ბაზარზე ტრანსნაციონალური კომპანიების უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად ხელისუფლებამ და ბიზნესმა უნდა გადადგან ქმედითი ნაბიჯები. შემდეგი კითხვა, რომელიც დავუსვით რესპოდენტებს მდგომარეობდა შემდეგში: თქვენი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ რა ღონისძიებები უნდა გაატაროს ტრანსნაციონალური კორპორაციების სამომხმარებლო ბაზარზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად? რესპოდენტთა აზრი სამივე სავარაუდო პასუხზე თითქმის თანაბრად გაიყო. 35.6% თვლის, რომ სახელმწიფომ უნდა გაატაროს სწორი საინვესტიციო პოლიტიკა, 33.4%-ის აზრით კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს ურთიერთობები ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან, ხოლო 31% ფიქრობს, რომ უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად აუცილებელია ხელი შეეწყოს ადგილობრივ წარმოებას (იხ. დიაგრამა 3.7).



დიაგრამა 3.7. თქვენი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ რა ღონისძიებები უნდა გაატაროს ტრანსნაციონალური კორპორაციების სამომხმარებლო ბაზარზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად?

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ლოგიკურად ისმება შემდეგი კითხვა: თქვენი აზრით, სამომხმარებლო ბაზარზე თავისი წილის შესანარჩუნებლად რა უნდა მოიმოქმედონ ქართულმა კომპანიებმა? აქაც რესპოდენტთა აზრი მნიშვნელოვან წილად გაიყო. მათი 31% თვლის, რომ ბაზრის წილის შესანარჩუნებლად ქართულმა კომპანიებმა უნდა აწარმოონ ეკოლოგიურად სუფთა და გამორჩეული ნიშან-თვისებების მქონე პროდუქცია. 27.6%-ის აზრით ქართულმა კომპანიებმა უნდა შექმნან სტრატეგიული ალიანსები და ერთობლივი ძალისხმევით დაძლიონ პრობლემები. 24% ფიქრობს, რომ უნდა გაუმჯობესონ წარმოების ტექნოლოგია რითაც შეამცირებენ დანახარჯებს, ხოლო 17.3%-ის აზრით ქართული კომპანიები უნდა გაერთიანდნენ კოოპერატივებში (იხ. დიაგრამა 3.8).



დიაგრამა 3.8. თქვენი აზრით, სამომხმარებლო ბაზარზე თავისი წილის შესანარჩუნებლად რა უნდა მოიმოქმედონ ქართულმა კომპანიებმა?

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით მიღებული მონაცემების ანალიზით გაირკვა, რომ რესპოდენტთა უმრავლესობის 68%-ის აზრით საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია ტრანსნაციონალური კომპანიების

შემოსვლა საქართველოში და მათი როლის გაზრდა ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე. რესპოდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა 43.7%-მა გამაცხადა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმატებას ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე განაპირობებს ქართულ კომპანიებთან ერთობლივი საწარმოების შექმნა, ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია რესპოდენტთა 24.1%-ის აზრი, რომ აღნიშნულ წარმატებას ასევე განამტკიცებს ტრანსნაციონალური კორპორაციების კლიენტებზე ორიენტირება.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე ზემოქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეების კვლევამ დაგვანახა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობამ 58.6%-მა მიიჩნევს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები საქართველოში ქმნიან სამუშაო ადგილებს, რითაც მცირდება უმუშევრობის დონე და იზრდება მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა, რაც დადებით ზეგავლენას ახდენს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაზე. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის განვითარებისათვის ტრანსნაციონალური კორპორაციების უარყოფითო ზეგავლენის შემცირებას. რესპოდენტთა აზრით უარყოფითი ზეგავლენის მნიშვნელოვანი ფაქტორებია: საშიშროება, რომელიც შესაძლოა შეექმნას ერის თვითმყოფადობას (რესპოდენტთა 28.7%), ვინაიდან ტრანსნაციონალურ კორპორაციების შემოსვლით ჩქარდება გლობალიზაციის პროცესები, რაც იწვევს ერის წეს-ჩვეულებებისა და კულტურული მემკვიდრეობის გადაფასებას. ამიტომ ხელისუფლებამ ყველა ღონეს უნდა მიმართოს, რათა განამტკიცოს ქართული თვითმყოფადობა. რესპოდენტთა 27.6%-ის აზრით სამომხმარებლო ბაზარზე ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის გაზრდა გამოიწვევს ქართული კომპანიების წარმოების შემცირებას, ვინაიდან ისინი კონკურენციას ვერ გაუწევენ მძლავრ კორპორაციებს.

კვლევამ ასევე დაგვანახა რომ იმ ღონისძიებებს შორის, რომლებიც უნდა გაატაროს საქართველოს ხელისუფლებამ რათა შეამციროს ტრანსნაციონალური კორპორაციების სამომხმარებლო ბაზარზე უარყოფითი ზემოქმედება,

რესპოდენტთა აზრით არის: სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება (35.6%), ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირება (33.4%) და ადგილობრივი წარმოებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა (31.0%). ხოლო თვით ქართულმა კომპანიებმა ბაზარზე თავისი წილის შესანარჩუნებლად რესპოდენტთა 31.0%-ის აზრით უნდა აწარმოონ ეკოლოგიურად სუფთა და გამორჩეული თვისებების მქონე პროდუქცია, 27.6% ფიქრობს, რომ ამისათვის საჭიროა, რომ ქართული კომპანიები შევიდნენ სტრატეგიულ ალიანსებში, რითაც ისინი მოახდენენ მეტი სახსრებისა და ახალი ტექნოლოგიების მობილიზებას. ხოლო 15%-ის აზრით საჭიროა, ქართულმა კომპანიებმა განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში ჩამოაყალიბონ კოოპერატივები სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოებისა და მწარმოებელი ფერმერების მონაწილეობით.

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დიდი მნიშვნელობა საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაში ენიჭება ტრანსნაციონალური კორპორაციების როლს. მათი დადებითი ზეგავლენის სრულფასოვნად გამოყენებისათვის და უარყოფითი ზემოქმედების გასანეიტრალებლად, ხელისუფლებამ უნდა გასწიოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა, ასევე ქართულმა კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ ქმედითი სტრატეგია ბაზარზე თავიანთი წილის შესანარჩუნებლად, რაც საბოლოო ჯამში დააბალანსებს ურთიერთობებს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, ქართულ კომპანიებსა და სახელმწიფოს შორის. ეს კი თავის მხრივ გაზრდის წარმოებული პროდუქციის რაოდენობას, შეამცირებს უმუშევრობას ქვეყანაში, გაიზრდება ადამიანთა მსყიდველუნარიანობა, შემცირდება სოციალური დაძაბულობა, რაც აამაღლეს ცხოვრების დონეს და გახდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი.

3.3. ტრანსნაციონალური კომპანიების ზეგავლენა გარდამავალი ეკონომიკების სამომხმარებლო ბაზრებზე და საქართველოს პერსპექტივები

საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზრების ადაპტაციამ საერთაშორისო ინსტიტუციონალურ მოთხოვნებთან გამოიწვია მისი რეგულირების ინსტრუმენტებისა და მეთოდების გადახედვის აუცილებლობა. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება პრინციპიალურად ახალ ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას, რომელიც შესაბამისობაშია საბაზრო ურთიერთობებთან და ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციასთან. საქართველოში მისი შემუშავებისა და რეალიზაციისათვის და სამომხმარებლო ბაზრის განვითარებისათვის შექმნილია და ფუნქციონირებს შესაბამისი მართვის ორგანოები. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებთან თანასწორუფლებიანი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობისათვის პირობების შექმნა, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების შესაძლებლობების გამოყენება საქართველოში ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობისათვის, დადებულია მრავალი ორმხრივი ხელშეკრულება ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებთან.

საქართველო თავის საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში იძულებულია გამოიყენოს პროტექციონიზმის ელემენტები და შეიმუშავოს საკუთარი კონცეფცია საგარეო ვაჭრობაში, მისი რეალიზაციის მიმართულებები და ინსტრუმენტები, ეკონომიკური და ადმინისტრაციული მეთოდების ერთობლიობა. ეკონომიკური მეთოდები დაკავშირებულნი არიან საბაჟო ტარიფებთან, საერთაშორისო ვაჭრობის მონაწილეთა პირდაპირ ფინანსურ სტიმულირებასთან, მათ შორის საზღვრების დადგენასთან საქონლის რაოდენობასა და ნომენკლატურასთან მიმართებაში, რომლებიც გადიან ექსპორტზე და შემოდიან იმპორტზე. ამრიგად, სახელმწიფო ღონისძიებების კომპლექსისა და ინსტრუმენტების ერთობლიობით არეგულირებს

საქონის მოძრაობას საზღვრებზე და ტერიტორიებზე, უზრუნველყოფს გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტულ შედეგებს (ლექვინიძე ი. 2017).

საგარეო ეკონომიკური რეგულირების ჩარჩოებში და შიდა სამომხმარებლო ბაზრების დაცვისათვის სახელმწიფომ ეტაპობრივად უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

- მსოფლიო ბაზარზე ეფექტიანი ინტეგრაცია და მსუბუქი, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის წენწაწევის ხელშეწყობა.
- ქართველი მეწარმეების ინტერესების დაცვის მიზნით დროებითი პროტექციონისტული ღონისძიებების დანერგვა არასასურსათო, სასურსათო და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, რომელთა წარმოებაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება ქვეყანას სრულად შეუძლია.
- ქართველი მეწარმეების მიერ წარმოებული არასასურსათო და სასურსათო საქონლის ექსპორტის სტიმულირება.
- მოქნილი საიმპორტო საბაჟო ტარიფების გამოყენება და საბაჟო კონტროლის ინსტიტუტის დახვეწა და განვითარება.
- საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურად მიახლოებული მსუბუქი, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის სერტიფიცირებისა და ატესტაციის სისტემის შექმნა.
- ხელსაყრელი ინოვაციური კლიმატის შექმნის საფუძველზე ტრანსნაციონალური კორპორაციებისაგან ინოვაციების მიღების პოლიტიკის რეალიზაცია.

ეროვნულ დონეზე ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობას ზეგავლენის რეგულირებას სამომხმარებლო ბაზარზე უნდა ახორციელებს ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც გაუქმდა 2013 წლის აპრილში და ჩამოყალიბდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, მას არავითარი ბერკეტი არ გააჩნდა, ამჟამად მნიშვნელოვანია საქართველოში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დახვეწა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის რეგულირება საქართველოში, რითაც დაცული იქნება ქართული სამომხმარებლო ბაზარი მონოპოლიების შექმნისაგან, ჩამოყალიბდება ჯანსაღი კონკურენტული გარემო და ქართული კომპანიები სტრატეგიულ ალიანსებში გაწევრიანების გზით შესძლებენ კონკურენცია გაუწიონ ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპანსიას ეროვნულ ბაზრებზე.

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში ხელსაყრელი პირობების შექმნა, საერთაშორისო ბაზრებზე ფუნქციონირებისა და მაქსიმალური უკუგების მიზნით, ასევე ტრანსნაციონალური კორპორაციების საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ზეგავლენის დასარეგულირებლად, საჭიროა შემუშავებულ და მიღებულ იქნეს ღონისძიებების კომპლექსი, რომელშიც შევა, ამ მიმართებით, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებაც. ყველა რესურსის ეფექტიანი გამოყენება პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაცია საქართველოსათვის წარმოადგენს ძირითად ამოცანას, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რაც უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას და განუმტკიცებს ჩვენს ქვეყანას პოზიციებს მსოფლიო მეურნეობრივ სისტემაში.

დასკვნა

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარის განვითარებაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებისა და საქართველოს ეკონომიკაზე მათი ზემოქმედების შესწავლის, ასევე ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზის შედეგად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი დასკვნები და წინადადებები:

1. გლობალიზაცია წარმოადგენს სახელმწიფო დონეზე გადაუწყვეტელი ზეეროვნული პრობლემებისა და წინააღმდეგობების გამწვავების ობიექტურ შედეგს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მსოფლიო განვითარებაში უალტერნატივო მოვლენასთან. მას აქვს სისტემური ხასიათი, ვინაიდან იგი ვითარდება სოციალური ინსტიტუტების საქმიანობისაგან დამოუკიდებლად და გამოწვეულია გარე მიზეზებით. სწორედ ამიტომ აღნიშნული მოვლენის გაგებასა და შესწავლას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა, არა მხოლოდ სოციალური სფეროს მართვის პრაქტიკოსებისათვის, არამედ მთელი სოციალური თეორიისათვის.

2. ტრანსნაციონალური კორპორაციები გლობალიზაციის პირობებში გამოდიან მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკების საკვანძო პროცესების მამოძრავებელ ძალად. ისინი დადებით ზეგავლენას ახდენენ განვითარებად ეკონომიკებსა და მათ ბაზრებზე. ტრანსნაციონალური კორპორაციები ახდენენ საერთაშორისო კონკურენციის სტიმულირებას, საწარმოო, სამეცნიერო და ტექნოლოგიური კავშირების განვითარებას, ასევე ინსტიტუციონალური გარემოს ტრანსფორმაციას, გარდაქმნიან და აფართოებენ ეროვნული სამომხმარებლო ბაზრების სტრუქტურას და საზღვრების გაფართოებას, აყალიბებენ ახალ მოთხოვნებსა და სამომხმარებლო სტანდარტებს.

3. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად შემოდის საფინანსო სფეროში, ამიტომაც ეროვნული სამომხმარებლო ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, მაგალითად ტრანსპორტში,

ენერგეტიკაში, სასტუმროებისა და რესტორნების ქსელის განვითარებაში, სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში. რაც თავის მხრივ გამოიწვევს ტურიზმის სფეროს ახალ საფეხურზე ასვლას, გაზრდის შემოსავლებს სახელმწიფო ბიუჯეტში, შეამცირებს უმუშევრობას, გაფართოვდება და განვითარდება სამომხმარებლო ბაზარი, ყოველივე ეს კი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი გახდება.

4. საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზრების განვითარებაში დიდ მნიშვნელობას თამაშობს ინვესტიციების რეგულირების კონცეფციების, სტანდარტებისა და პრინციპების შექმნის საერთაშორისო კოორდინაცია. მსოფლიოში იზრდება სპეციალური ორმხრივი ხელშეკრულებები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საკითხების შესახებ, რომელთა საშუალებითაც ხდება უცხოური კომპანია-ინვესტორების შემოსვლა სამომხმარებლო ბაზრებზე და მათი ინტერესების დაცვა. კანონმდებლობებში და ადმინისტრაციულ ნორმებში ასახულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი მნიშვნელობა რეციპიენტი-ქვეყნების ეკონომიკებისათვის და მათი სამომხმარებლო ბაზრების განვითარებისათვის.

5. საქართველოს სამომხმარებლო ბაზარის განვითარებაში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრისათვის ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა. კვლევა წარმოადგენდა რესპოდენტთა გამოკითხვას. რესპოდენტების შერჩევა მოხდა სტრატიფიცირებული შერჩევის მეთოდით, ხოლო გამოკითხვა განხორციელდა კვლევის რაოდენობრივი მეთოდით (მასობრივი გამოკითხვის მეთოდით). გამოკითხვა განხორციელდა ინტერნეტის მეშვეობით რესპოდენტებმა შეავსეს ჩვენს მიერ შეთავაზებული კითხვარი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 87-მა რესპოდენტმა. რომელთაგანაც 38 იყო ქალი, ხოლო 49 კი მამაკაცი. კვლევაში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა ასაკის რესპოდენტები, მათგან 20-დან 30 წლამდე ადამიანები იყო 21%, 30-დან 45 წლამდე 67%, ხოლო 45 წელს ზევით კი 12%.

6. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით მიღებული მონაცემების ანალიზით გაირკვა, რომ რესპოდენტთა უმრავლესობის 68%-ის აზრით საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა საქართველოში და მათი როლის გაზრდა ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე. რესპოდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა 43.7%-მა გამაცხადა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმატებას ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე განაპირობებს ქართულ კომპანიებთან ერთობლივი საწარმოების შექმნა, ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია რესპოდენტთა 24.1%-ის აზრი, რომ აღნიშნულ წარმატებას ასევე განამტკიცებს ტრანსნაციონალური კორპორაციების კლიენტებზე ორიენტირება.

7. ტრანსნაციონალური კორპორაციების ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე ზემოქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეების კვლევამ დაგვანახა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობამ 58.6%-მა მიიჩნევს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები საქართველოში ქმნიან სამუშაო ადგილებს, რითაც მცირდება უმუშევრობის დონე და იზრდება მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა, რაც დადებით ზეგავლენას ახდენს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაზე. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის განვითარებისათვის ტრანსნაციონალური კორპორაციების უარყოფითო ზეგავლენის შემცირებას. რესპოდენტთა აზრით უარყოფითი ზეგავლენის მნიშვნელოვანი ფაქტორებია: საშიშროება შესაძლოა შეექმნას ერის თვითმყოფადობას (რესპოდენტთა 28.7%), ვინაიდან ტრანსნაციონალურ კორპორაციების შემოსვლით ჩქარდება გლობალიზაციის პროცესები, რაც იწვევს ერის წეს-ჩვეულებებისა და კულტურული მემკვიდრეობის გადაფასებას. ამიტომ ხელისუფლებამ ყველა ღონეს უნდა მიმართოს, რათა განამტკიცოს ქართული თვითმყოფადობა. რესპოდენტთა 27.6%-ის აზრით სამომხმარებლო ბაზარზე ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის გაზრდა გამოიწვევს ქართული კომპანიების წარმოების შემცირებას, ვინაიდან ისინი კონკურენციას ვერ გაუწევენ მძლავრ კორპორაციებს.

8. კვლევამ ასევე დაგვანახა რომ იმ ღონისძიებებს შორის, რომლებიც უნდა გაატაროს საქართველოს ხელისუფლებამ რათა შეამციროს ტრანსნაციონალური კორპორაციების სამომხმარებლო ბაზარზე უარყოფითი ზემოქმედება, რესპოდენტთა აზრით არის: სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება (35.6%), ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირება (33.4%) და ადგილობრივი წარმოებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა (31.0%). ხოლო თვით ქართულმა კომპანიებმა ბაზარზე თავისი წილის შესანარჩუნებლად რესპოდენტთა 31.0%-ის აზრით მნიშვნელოვანია, რომ მათ აწარმოონ ეკოლოგიურად სუფთა და გამორჩეული თვისებების მქონე პროდუქცია, 27.6% ფიქრობს, რომ ამისათვის საჭიროა, რომ ქართული კომპანიები შევიდნენ სტრატეგიულ ალიანსებში, რითაც ისინი მოახდენენ მეტი სახსრებისა და ახალი ტექნოლოგიების მობილიზებას. ხოლო 15%-ის აზრით საჭიროა, ქართულმა კომპანიებმა განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში ჩამოაყალიბონ კოოპერატივები სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოებისა და მწარმოებელი ფერმერების მონაწილეობით.

9. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დიდი მნიშვნელობა საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაში ენიჭება ტრანსნაციონალური კორპორაციების როლს. მათი დადებითი ზეგავლენის სრულფასოვნად გამოყენებისათვის და უარყოფითი ზემოქმედების გასანეიტრალებლად, ხელისუფლებამ უნდა გასწიოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა, ასევე ქართულმა კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ ქმედითი სტრატეგია ბაზარზე თავიანთი წილის შესანარჩუნებლად, რაც საბოლოო ჯამში დააბალანსებს ურთიერთობებს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, ქართულ კომპანიებსა და სახელმწიფოს შორის. ეს კი თავის მხრივ გაზრდის წარმოებული პროდუქციის რაოდენობას, შეამცირებს უმუშევრობას ქვეყანაში, გაიზრდება ადამიანთა მსყიდველუნარიანობა, შემცირდება სოციალური დაძაბულობა, რაც აამაღლეს ცხოვრების დონეს და გახდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი.

10. საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზრების ადაპტაციამ საერთაშორისო ინსტიტუციონალურ მოთხოვნებთან გამოიწვია მისი რეგულირების ინსტრუმენტებისა და მეთოდების გადახედვის აუცილებლობა. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება პრინციპიალურად ახალ ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას, რომელიც შესაბამისობაშია საბაზრო ურთიერთობებთან და ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციასთან.

11. ეროვნულ დონეზე ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობას ზეგავლენის რეგულირებას სამომხმარებლო ბაზარზე უნდა ახორციელებს ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც გაუქმდა 2013 წლის აპრილში და ჩამოყალიბდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, მას არავითარი ბერკეტი არ გააჩნდა, ამჟამად მნიშვნელოვანია საქართველოში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დახვეწა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის რეგულირება საქართველოში, რითაც დაცული იქნება ქართული სამომხმარებლო ბაზარი მონოპოლიების შექმნისაგან, ჩამოყალიბდება ჯანსაღი კონკურენტული გარემო.

12. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში ხელსაყრელი პირობების შექმნა, საერთაშორისო ბაზრებზე ფუნქციონირებისა და მაქსიმალური უკუგების მიზნით, ასევე ტრანსნაციონალური კორპორაციების საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ზეგავლენის დასარეგულირებლად, საჭიროა შემუშავებულ და მიღებულ იქნეს ღონისძიებების კომპლექსი, რომელშიც შევა, ამ მიმართებით, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებაც. ყველა რესურსის ეფექტიანი გამოყენება პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაცია საქართველოსათვის წარმოადგენს ძირითად ამოცანას, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რაც უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას და განუმტკიცებს ჩვენს ქვეყანას პოზიციებს მსოფლიო მეურნეობრივ სისტემაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე. იაშვილი გ. და სხვები. სტრატეგიული მენეჯმენტი. სახელმძღვანელო. თბ. 2013.
2. ბლიაძე მ. ტრანსნაციონალური კომპანიები და გლობალიზაცია. თბ. 2015. http://mastsavlebeli.ge/?p=1331
3. გიგიაშვილი ო. ფუტკარაძე რ. თოლორდავა ჟ. და სხვები. საერთაშორისო ბიზნესი. ლექციების კურსი. თბ. გამომცემლობა ,,უნივერსალი". 2011.
4. გიორგაძე გ. ფერაძე ნ. ტრანსნაციონალური კორპორაციები განვითარებადი ქვეყნების ბაზარზე. ჟურნალი „ეკონომიკა" N12. 2018. გვ. 138-144.
5. დუდაური თ. კომპანიის კორპორაციული იმიჯის ფორმირების თავისებურებანი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. პაატა გუგუშვილის ეკონო¬მიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი. 2016. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ. 306-308.
6. ლაზვიაშვილი ნ. კორპორაციული მენეჯმენტი. თბ. 2013
7. ლექვინიძე ი. როგორი უნდა იყოს ეფექტიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა. 2017. http://forbes.ge/news/236/antimonopoliuri-politika
8. მანველიძე ი. ტნკ-ები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში: პრობლემები, ტენდენციები, პერსპექტივები. 2009.
9. სამჭკუაშვილი ნ. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფინანსური რესურსები: ფინანსური ნაკადები და მათი ფორმირების თავისებურებები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სეუ 2018". სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება". 2018. გვ. 15-22.
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 2019. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

11. ღამბაშიძე თ. ტრანსნაციონალიზაცია და კორპორატიული კულტურების თავსებადობა. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი. 2017. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ. 511-514.
12. ღამბაშიძე თ. საერთაშორისო მენეჯმენტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბ. 2008.
13. შაბურიშვილი შ. ტრანსნაციონალური კომპანიები და ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერი. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი. 2016. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ.533-536.
14. Адам Ш. М. Место и роль транснациональных корпораций в современной мировой экономике. Молодой ученый. 2017. №11. С. 183-186. — URL https://moluch.ru/archive/145/40719/
15. Белоусова А. В. Транснациональные корпорации и глобализация мировой экономики. Проблемы и перспективы экономики и управления: материалы VII Междунар. науч. конф. (г. Санкт-Петербург, июль 2018 г.). — СПб.: Свое издательство, 2018. С. 14-18. URL https://moluch.ru/conf/econ/archive/296/14377/
16. Березной, А.В. Международные компании развивающихся стран.- М.: Наука, 1986. 203 с
17. Величко И.С. Этапы развития транснациональных корпораций и критерии отнесения к ТНК. 2017. https://elibrary.ru/item.asp?id=25636102
18. Владимирова И. Г. Организационные структуры управления компаниями. 2017. https://blog.iteam.ru/organizatsionnye-struktury-upravleniya-kompaniyami/
19. Голикова Ю.А. Транснациональных корпораций: определение Сущности и характеристика деятельности в современных условиях. https://cyberleninka.ru/article/n/transnatsionalnye-korporatsii-opredelenie-suschnosti-i-harakteristika-deyatelnosti-v-sovremennyh-usloviyah

20. Давиденко И.В. Воздействие транснациональных корпораций на экономическую безопасность страны: автореферат канд. экон. Наук. Ростов-на-Дону, 2016. 24 с. https://rsue.ru/avtoref/DavidenkoIV/avtoref.pdf
21. Ересько А.Л., Яндовский А.Н. Структура дивизионального управления транснациональной корпорацией. 2017. https://cyberleninka.ru/article/n/struktura-divizionalnogo-upravleniya-transnatsionalnoy-korporatsiey-v-sfere-turizma
22. Зорин С,Ф. Современные транснациональные корпорации и их роль в мировой экономике. 2017. https://www.docsity.com/ru/sovremennye-transnacionalnye-korporacii-i-ih-rol-v-mirovoy-ekonomike/1350472/
23. Ишмеева А.С. Губайдуллина И.Н. Сущность глобализации т ее влияние на мировую экономику. Научно-издательский центр „АЭЕУКНА„. Коллективная монография. 2016. с 9. https://aeterna-ufa.ru/sbornik/SEiPOE-11.pdf
24. Карпова С.В. Инновационная маркетинговая политика современных транснациональных корпораций. 2011. https://cyberleninka.ru/article/v/innovatsionnaya-marketingovaya-politika-sovremennyh-transnatsionalnyh-korporatsiy
25. Короткова Т,А. Мировая экономика. Краткий курс для бакалавров. 2018. https://ozlib.com/842348/ekonomika/etapy_stanovleniya
26. Мовсесян А., Либман А. Современные тенденции в развитии и управлении ТНК. 2019. http://vasilievaa.narod.ru/10_1_01.htm
27. Медведев В.А. Глобализация экономики: тенденции и противоречия . Мировая экономика и международные отношения. 2004. №2. с. 3-10.
28. Перская В., Глуховцев В. Многополярность: миф или реальность? (Геоэкономические аспекты). М.: Экономика, 2011.
29. Побирченко В.В., Сазонова Г.В. Транснациональный фактор трансформации экономики в условиях глобализации. 2017. https://core.ac.uk/download/pdf/87391626.pdf
30. Попова А.В., Гриванов Р.И. Транснациональные корпорации как субъект международных экономических отношений. Материалы VII Международной студенческой электронной научной конференции «студенческий научный форум», 2018.

31. Пузакова, Е.П. Мировая экономика. Серия «Учебники и учебные пособия». Ростов н/Д: «Феникс», 2001. - 480с.
32. Ромашкин Т.В. Становление и развитие ТНК в условиях гловализации. 2016. https://www.sgu.ru/sites/default/files/documents/2017/monografiya_romashkin_k_pechati.pdf
33. Фигурнова Н.П. Международная экономика. Н.П. Фигурнова. М.: Омега-Л, 2005. 509 с. http://lib.nkzu.kz/CGI/irbis64r_01/cgiirbis_64.exe?Z21ID=&I21DBN=KNIGI_PRINT&P21DBN=KNIGI&S21STN=1&S21REF=&S21FMT=fullw_print&C21COM=S&S21CNR=&S21P01=0&S21P02=1&S21P03=A=&S21STR=%D0%A4%D0%B8%D0%B3%D1%83%D1%80%D0%BD%D0%BE%D0%B2%D0%B0,%20%D0%9D.%20%D0%9F.
34. Шкваря, Л.В. Международная экономическая интеграция в мировом хозяйстве: Учебное пособие. М.: НИЦ ИНФРА-М, 2016. С. 315 http://znanium.com/catalog/product/542506
35. Эльянов А.Я. Глобализация и догоняющее развитие. Мировая экономика и международные отношения. 2004. №1. с. 3-16.
36. Agricultural Policies in OECD Countries at a glance 2010. – France : OECD, 2010. – 125 p. https://www.oecd.org/agriculture/topics/agricultural-policy-monitoring-and-evaluation/
37. Fortune Global 500. Full List. 2019. http://fortune.com/global500/list/
38. Irwin D. A. International Trade Agreements. 2018. https://www.econlib.org/library/Enc/InternationalTradeAgreements.html
39. Levitt T. The Globalization of Markets. Harvard Business Review. 1983. https://hbr.org/1983/05/the-globalization-of-markets
40. OECD-FAO Agricultural Outlook 2010–2019. – France : OECD/FAO, 2010.
41. UNCTAD. Investment Trends Monitor. Global FDI Flows Continue Their Slide in 2018. January 2019. https://unctad.org/en/PublicationsLibrary/diaeiainf2019d1_en.pdf
42. UNCTAD Statistics.2018. https://unctad.org/en/Pages/statistics.aspx
43. US Treasury. 2018. https://ticdata.treasury.gov/Publish/debtb2018q4.html

დანართი

გამოკითხვის კითხვარი

ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაში

1. **თქვენი აზრით, საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია თუ არა ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლა?**
   - აუცილებელია.
   - არ არის აუცილებელი.
   - მიჭირს პასუხის გაცემა.
2. **თქვენი აზრით, რომელი ფაქტორი განაპირობებს ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმატებას საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე?**
   - ადგილზე წარმოება (შვილობილი კომპანიის დაარსება).
   - ბაზარზე ახალი პროდუქციით ადრე შემოსვლა.
   - საქართველოს კომპანიებთან ერთობლივი საწარმოს შექმნა.
   - კლიენტებზე ორიენტირებულობა.
3. **თქვენი აზრით, რა დადებით მხარე აქვს საქართველოს სამომხმარებლო ბაზრისათვის ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლას?**
   - გაიზრდება მოსახლეობის დასაქმების დონე ე.ი. მსყიდველუნარიანობა.
   - შემცირდება ფასები სამომხმარებლო პროდუქციაზე.
   - გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.
4. **თქვენი აზრით, ტრანსნაციონალური კორპორაციების საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე შემოსვლის, რომელი უარყოფითი მხარე შეიძლება გახდეს ყველაზე მნიშვნელოვანი?**
   - ადგილობრივი წარმოების შემცირება.
   - საშიშროება შეიძლება შეექმნას ქვეყნის რეალურ დამოუკიდებლობას.
   - საშიშროება შეიძლება შეექმნას ერის თვითმყოფადობას.

- მოხდება დიდი რაოდენობის ვალუტის გადინება ქვეყნიდან.

5. **თქვენი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ რა ღონისძიებები უნდა გაატაროს ტრანსნაციონალური კორპორაციების სამომხმარებლო ბაზარზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად?**
   - ხელი შეუწყონ ადგილობრივ მეწარმეებს.
   - შეიმუშაონ სწორი საინვესტიციო პოლიტიკა.
   - კანონმდებლობით დაარეგულირონ ურთიერთობა ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან.
6. **თქვენი აზრით, სამომხმარებლო ბაზარზე თავისი წილის შესანარჩუნებლად რა უნდა მოიმოქმედონ ქართულმა კომპანიებმა?**
   - შექმნან სტრატეგიული ალიანსები.
   - აწარმოონ ეკოლოგიურად სუფთა და გამორჩეული თვისებების მქონე პროდუქცია.
   - ტექნოლოგიის გაუმჯობესებით შეამცირონ დანახარჯები და დაწიონ სამომხმარებლო ფასები.
   - შექმნან საწარმოო კოოპერატივები.
7. **ასაკი?**
   - 20 – 30 წელი;
   - 30 – 45-მდე;
   - 45 -ს ზევით.
8. **სქესი?**
   - მამრობითი
   - მდედრობითი
9. **განათლება?**
   - საშუალო
   - უმაღლესი
   - არასრული საშუალო

10. საქმიანობა?

- დასაქმებული.
- უმუშევარი.
- პენსიონერი.